№ 2762
კვირა, 6 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2762
კვირა, 6 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წუადის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთი «ცნობის ფურცელი»

ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვ 5 მ. 75 კაპ., 10 თვ. 5 მ. 20 კაპ., 9 თვ. 5 მ., 8 თვ. 4 მ. 50 კაპ., 7 თვ. 4 მ., 6 თვ. 3 მ. 50 კ., 5 თვ. 3 მან., 4 თვ. 2 მ. 60 კ., 3 თვ. 2 მან., 2 თვ. 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოიგზავნოს.

1 თებერვლიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი“ ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. სურათებიანის დამატებით**—5 **კაპ.**

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ბიბინაძე. კბილის 8—9 საათ.
ზ. ზ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბაღარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ვ. დ. ლამაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ვ. შ. მანსვეტოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
ა. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ა. გოქიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 119. აკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში, კომერციული ბანკის სახლი. (60—408—28)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—29)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—13)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავ და: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

წერა-კითხვის საზოგადოებაში (სასახლის ქ., თავ.-აზნაურობის ქარვასლა) **იყიდება სხვა და სხვა ავეჯეულობა.** დივანი, სავარძლები, სკამები, კამოდი, შკაფები, ძვირფასი სარკეები, ტრიუმო, ხალიჩები, სტოლები და სხ.—ნახვა შეიძლება დილის 10 ს.—2 საათამდის და საღამოს 5—6 ს.

ყველა ეს ნივთები წინაც იყო რონინაშვილისეულს ფოტოგრაფიაში. (უ. 2—2)

ნამდვილი ცელულარული
◆ **თესლი აბრეშუმისა** ◆
[illegible] ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა
ა. კ. ზახარიადისა.
ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ძმ. პახ[illegible]ალიდებისა** აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსრველთ შეუძლიანთ აგრეთვე ჩემგან შეიძინონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰმართეთ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ. № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—15)

აბრეშუმი! ქიის თესლი თეთრი, ნამდვილი ბაღდადის ჯიშის **ფ. პ. ლახ[illegible]არიდის** ფირმის, [illegible] აბრეშუმო სადგურის ბანდეროლით და [illegible] იყიდება ტფილისში **ბ. გ. კრახნიან**[illegible], ბარიატინსკის ქ. № 8. (3—85—1)

დ. ყვირი[illegible]
1905 წ. 9 მარტს, ქუთაისის ქ[illegible]ლ დასის მიერ **შ. ს. ალექსი-მესხ**[illegible] ნაწილეობით წარმოდგენილი იქმნება [illegible]
ახალი პიესა:
კაცობრიობის კეთილისმყოლ[illegible]
დრამა 3 მოქ. ფილიპპისა, თარგ. ვ. გუნიას მიერ [illegible] ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (3—6.—1)

ხელი მოაწ[illegible] [illegible]ჩთვნას,

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
4 მარტი.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფ“-ში გამოქვეყნებულია შემდეგი: „მუკდენი. გოსპიტლები დაჭრილებით არის სავსე. იაპონელებს აუარებელი ზარალი მოუვიდათ რკინის გზის საწყობთან. მათ დაჰკარგეს 7700 კაცი. შეუძლებელია დანამდვილებით წარმოიდგინო, რამდენია საერთო ზარალი. ამბობენ, რუსის მარცხენა არმია გარშემორტყმულია, რადგანაც იგი ვეღარ შეუერთდა უმთავრესს ჯარებს, თუმცა ყოველი ღონისძიება იხმარა. მუკდენსა და ფუშუნს შორის იაპონელებმა გვერდიდან წამოუარეს რუსის ჯარებს და 200,000 კაცი მოსჭრეს დანარჩენ ჯარს, რომელმაც არა იცოდა რა საქმის ვითარებაზე. ამ კოლონამ გვიან გაიგო ჯარების უკან დახევა მუკდენიდან და იძულებული შეიქნა გაჩქარებით ეარნა გორაკებზე, დიდი გზა გაიარა სამი დღის განმავლობაში და ბოლოს, როგორც იქნა, დაეწია უმთავრეს ჯარს. შესაძლებელია უკან დახევა შეაჩერონ, რადგანაც რუსებს ძლიერი მაშველი ჯარი მოუვიდათ“.—ბრძოლის ველიდან მოსულ აფიცრის სიტყვით, იაპონიის მარცხენა არმია გამოუთქმელი სისწრაფით უახლოვდებოდა მუკდენს; პირველს დღეს 30 მილი გაევლო, მეორეს—35, მესამეს—20 და მეოთხე დღეს ქალაქის გარეუბნებს მიაღწია; ერთი რაზმი კუროპატკინისა და მის მთავარ-შტაბის საძებნელად გაგზავნეს, მაგრამ როგორც კუროპატკინი, ისე მთავარი შტაბი გამქრალიყვნენ. გაიგო თუ არა ნოგიმ ეს ამბავი, სთქვა: „ხელიდან გაგვისხლტა ვეშაპი“-ო.—23 თებერვალს ნოგიმ დასამყარებელი ადგილი გამოუნახა თავის ჯარს და გალაშქრება იწყო ტელინისაკენ მუკდენიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრივ; უცბათ იგი თავზე წააწყდა რუსის მარქაფა ჯარს, რიცხვით 40000 კაცს, რომელნიც გაათრებული იერიშით მივარდნენ მას. მკაცრი ბრძოლა შეიქნა და ხელდა-ხელ მივიდნენ ერთმანეთზე. ცუდათ იყო იაპონელების საქმე, რომ ამ კრიტიკულ დროს არ მოსულიყო მათდა გამოსახსნელად ჯარი, რომელიც იაპონიის მარჯვენა ფრთას ჩამოშორებოდა; ამ ჯარმა გადაუჭრა რუსებს შემაერთებელი გზა. იაპონელები გარს შემოერტყა რუსის მთელ კორპუსს. შეუსაზარებელ, შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენდა სისხლით მორწყული ბრძოლის ველი“.

ლონდონი, 4 მარტი. იაპონიის მისიამ გამოაქვეყნა ტოკიოდან მოსული დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ტელინში რუსებმა თითქმის სურსათის ყველა საწყობი და საკვები ცეცხლს მისცეს. სამხედრო დავლა დიდია, მაგრამ რაოდენობა არაა გამორკვეული ჯერ. დაჭრილთა რიცხვიც დიდია, მაგრამ დანამდვილებით არ იციან ჯერ რამდენია.

ნიუ-იორკი, 4 მარტი. სამხედრო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა დეპუტატთა პალატაში, რომ, თუ იაპონიამ გაიმარჯვა, იმ შემთხვევაში იგი უეჭველად ამერიკას გამოუცხადებს ომს 1920 წ. ადრეთ. ომის მიზეზათ ფილიპინის კუნძულები იქნება და ამიტომ ვითხოვ გაძლიერებულ იქნას ფლოტი და გავამაგროთ ჰავაის კუნძულებიო.

ბერლინი. სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში გამწვავებული შეტაკება მოხდა. გერმანიის ორმა კოლონამ იერიში მიიტანა ნარუდას ხეობაში იქაურ მცხოვრებლებზე და დიდი ზარალიც მისცა მათ. გერმანელებს ორი აფიცერი და 8 ჯარის კაცი მოუკლეს და 30 ჯარის კაცი დაუჭრეს.

ბაქო, 4 მარტი. გენ.-გუბერნატორმა ინახულა მეჩეთი, სადაც აუარებელი ხალხი დაუხვდა. თ. ამილახორმა უთხრა ხალხს, რომ ხელმწიფე იმპერატორი სიწყნარესა და სიმშვიდეს ითხოვს [illegible] ქვეშევრდომთაგან და ამიტომ ჩემი ძალი[illegible] მიმართულია ბაქოს საზოგადოების დამ[illegible] და იმედი მაქვს, მაჰმადიანები [illegible]ხოვრებას მიეცემიან და მით გა- მიაღწიებენ ხელმწიფის ნების შესრულებას. მეჩეთის წინამძღვარმა მოიყვანა ციტატები ყურანიდან და დაუმტკიცა ხალხს, რომ ის ვალდებულია ერთგული იყოს ხელმწიფისა, რომელიც თავის ქვეშევრდომების სახელს, სიცოცხლეს და ქონებას იცავს; ამის შემდეგ ილოცა ხელმწიფისა და სამეფო სახლის სადღეგრძელოთ. ჭერში გაისმა ხალხის ხმა, ეს იყო დემონსტრაცია იმაერ კავკასიის მუსულმანთა ერთგულებისა ხელმწიფისა და რუსეთისადმი.

მოსკოვი, 4 მარტი. მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭომ გადასწყვიტა, შეუძლებელია სწავლის დაწყება აკადემიის ავტონომიურ წესწყობილებამდეო. უნივერსიტეტის ცხოვრება მჭიდროთ არის შეკავშირებული საზოგადოების ცხოვრებასთან და პირველი მაშინ ჩადგება სასურველ კალაპოტში, როცა ხალხს შეძლება მიეცემა სახელმწიფოს საქმეების მოწყობა-რიგებაში მონაწილეობა მიიღოსო. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა მოიყვანონ სისრულეში 19 თებერვლის უმაღლესი რესკრიპტი ხალხისაკან თავისუფლად ამორჩეულების მოწვევაზე საკანონმდებლო დებულების შესამუშავებლად. უნივერსიტეტის განცხადებით, ის სტუდენტები, რომელთაც 1 მარტამდე სწავლის ფული არ შეუტანიათ, დათხოვნილ იქნებიან უნივერსიტეტიდან.

ყაზანი, 4 მარტი. „ყაზანის ტელეგრაფ“-ში დაწვრილებითი წერილია მოთავსებული საბეითლო ინსტიტუტის სტუდენტთა ერთი ჯგუფისაგან. ამ ჯგუფს 11 კაცი შეადგენს. იგინი სთხოვენ ამხანაგებს, განაახლეთ სწავლა და ნუ გვიშლით ხელს ჩვენ, მუშაობის მსურველთო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.
4 მარტი

ტოკიო. 4 მარტი („რეიტერი“). ოიამას მოხსენებით, სადგური ტელინი ისეა გამაგრებული, რომ ლიაოიანის სიმაგრეებს არ ჩამოუვარდებაო.

პარიზი. „პტი პარიზიენ“-ი ურჩევს იაპონიას, ზომიერათ მოიქცეს და დასჯერდეს კორეიას და ჩინელებისთვის მანჯურიის დაბრუნებას.

ასხაბადი, 4 მარტი. „ნოვ. ვრემია“-ს მე 10407-ე ნომერში რომ დეპეშა იყო მოთავსებული, ბაქოდან გამოქცეული სომხები ამოჟლიტეს მაჭმადიანებმა კრასნოვოდსკშიო, ყოველს საფუძველს არის მოკლებული. ასხაბადში სრული სიმშვიდეა.

კურსკი, 4 მარტი. აქ მოვიდა უმაღლესის ბრძანებით გამოგზავნილი ტაინ. სოვეტ. ზვაგინცევი კურსკისა და მეზობელ გუბერნიებში მომხდარ გლეხების მოძრაობის გამოსაკვლევად.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ტელინი. დიდი იმედი ჰქონდათ რუსებს ტელინისა, მაგრამ ამ იმედმაც ბევრ სხვასავით ჩაიღულის წყალი დალია. რუსებმა ეს შესანიშნავი სიმაგრე მიატოვეს და ჩრდილოეთისაკენ დაიხიეს. მარშალი ოიამა იუწყება, ტელინი ლიაოიანივით ყოფილა გამაგრებულიო. იაპონელებმა ტელინში დიდძალი სამხედრო სურსათი ჩაიგდეს ხელში. რუსებმა საკვებ სურსათის და ოივის საწყობები დასწვესო. იაპონიის საელჩო აცხადებს ლონდონში: იაპონელებმა ტელინში ბევრი რუსი დაატყვევესო. იქნება რუსებმა დაჭრილებიც დასტოვეს. ეტყობა იაპონელები ისე მალე მისულან ტელინთან, რომ რუსებს ვერაფრის წაღება ვეღარ მოუსწრიათ. იქნება ის ცნობაც მართალი იყოს, რომ იაპონელები წინ მივარდნენ ტელინში და რუსებს გზა მოუჭრესო. სამწუხაროდ, მეტად მცირე ცნობა მოდის ომის ასპარეზიდან. არა თუ ტელინის ამბავი, მუკდენის ბრძოლისაც ბევრი არა ვიცით-რა. რუსულ წყაროდან ხომ სულ არავითარი ცნობა აღარ მოდის. ეს ფრიად მნიშვნელოვანი სიჩუმეა. „ნოვოსტი დნია“ სწერს: ომის დროს რუსის საზოგადოებამ კარგად შეიგნო ასეთ სიჩუმის მნიშვნელობა. ლიაოიანის ბრძოლასა, თუ პორტ-არტურის აღებაზეც თითქმის არავითარი ცნობა არ მოდიოდა რუსულ წყაროდანაო.

დიდი ბრძოლა მუკდენთან. სამწუხაროდ, მეტად მცირე ცნობა იბეჭდება გაზეთებში ამ მსოფლიო ბრძოლაზე.

საზღვარ გარეთ ბრძოლის დროსვე სცოდნიათ, რომ რუსის ჯარის საქმე ცუდად იყო. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყებოდა: გენ. კუროპატკინმა 22 თებერვალს საიდუმლო დეპეშა გამოგზავნა პეტერბურგში: იაპონელებმა (გენ. კუროკიმ) რუსის მარცხენა ფრთა გაარღვიეს და დანარჩენ ჯარს მოსწყვიტესო. იაპონელები მუკდენისაკენ მოდიან, დიდ გაჭირვებაში ვართ. („ნ.“)

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი 24 თებერვალს დეპეშით იუწყებოდა: დღეს თოვლ-ბუქია, საშინელი კორიანტელი დგას და თვალთა წინა არა სჩანს-რა. ყურსა, ცხვირსა, პირსა და თვალებს გვივსებს მტვერი. ათას ზარბაზნის საშინელი გრგვინვაც კი ლამის გააყრუოს ამ საშინელმა ქარ-ბუქმა და კორიანტელმა. დილიდან გამწვავებული, ბედის გადამწყვეტი ბრძოლაა მუკდენთან. ჩვენი ცენტრი უკან იხევს. იაპონელები თან მისდევენ. იაპონელებმა ჩრდილოეთიდან მოუარეს მუკდენს და ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ მიდიან... მუკდენში ხალხი შეშინდა. დუქნები იკეტება, სასტუმროებმა და რესტორანებმა ვაჭრობა მოსპეს. ჩინელები ბეჯითად ჰშლიან დუქნებზე ზედ-წარწერებს, ვაჭრობა გაჰქრა. დღეს საქმელსაც ძლივს ვშოვობთ, სადგურში დიდი არეულობაა; დაჭრილებს ჰსხამენ ვაგონებში, ზარბაზნები და მეტი მძიმე ბარგი ძირს გადმოაქვთ, რკინის გზის მოსამსახურეები ძლიერ დაიქანცნენ ამ ათის დღის განმავლობაში. დღეში საშუალოდ 40 მატარებელს ისტუმრებენ...

26 თებერვალს იგივე კორესპონდენტი იუწყებოდა ტელინიდან: ეს არის ახლა დაიწყო მოქმედება სამხედრო ცენზურამ. როგორც მოგწერეთ კიდევაც, 24 თებერვალს საშინელი ქარ-ბუქი მძვინვარებდა. მეტის მეტად აღელვებულნი ვიყავით. იაპონელებმა მუკდენს ჩრდილოეთით მოუარეს და გზის მოჭრას ცდილობდნენ. იქით დიდი ჯარი გაიგზავნა, თითონ გენ. კუროპატკინი გაუძღვა ამ ჯარს, რკინის გზის აღმოსავლეთით მდებარე პოზიციებიდან მტრის განდევნას ეცადა; თითქო აღძრულა კიდეც თავისი განზრახვა, ამ დროს თავზარდამცემი, მოულოდნელი ამბავი მოვიდა: იაპონელები საშინელ ბუქში პირველსა და მეოთხე კორპუსს შუა შეიჭრნენ და რკინის გზას აღმოსავლეთიდან მოექცნენ. უკან დახეულ კორპუსებს, პირველსა და მეოთხე კორპუს, [illegible] ჯარის გაგზავნა ნამდვილად შეუძლებელი იყო და საღამოს 9 საათზე მთავარ-სარდალმა ბრძანება გამოსცა ტელინის პოზიციებისაკენ დაიხიოს ჯარმაო. საშინელი ქარავანი გაიჭიმა ოთხ გზაზე და მუკდენიდან ტელინამდე გზასა თუ მინდორზე სულ რუსის ქარავანი იყო გაბმული. მე უკან მივდევდი. ქარავანისა და ზარბაზნების ნაწილი დავტოვეთ. უკანა ჯარს თითონ გენ. კუროპატკინი ჰსარდლობდა და იაპონელებს აჩერებდა. 1500 მძიმედ დაჭრილიც დავტოვეთ. მუკდენის სადგური გუშინ დილით დავწვით, მუკდენსა და გზაში საწყობები და შენობებიც დავწვით. ამ წამს ტელინის არე-მარე რამდენსამე ვერსტზე ჯარითა, ცხენებითა და არტილერიითა, გაჭედილი, უკანა ჯარი 40 ვერსტის სიშორეზეა ტელინიდან. დაწვრილებით ჯერ ვერ მოგწერთ, დამაცადეთ, გონება მოვიკრიბო, ნერვები დამიმშვიდდეს. ნეტავ მოახერხებს ჩვენი ჯარი ერთად შეკრებას და მომავალში ბრძოლის უნარი ექნება? მუკდენთან ორსავ მხარეს სულ მცირედ 200 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. ჩვენი დამარცხება მუკდენთან მრავალმა მიზეზმა გამოიწვია. გული მიწუხს, მიკვდება. გადაეცით ჩემიანებს, რომ საშინელი თავგადასავალი გამოვიარე, ჯერ ცოცხალი ვარ“.

„კენიგსბერგიშე ცაიტუნგ“-ს დეპეშით ატყობინებენ: იაპონელებმა მუკდენში ხელში ჩაიგდეს 57 ზარბაზანი, 4700 თოფი და 422 ვაგონი სხვა-და-სხვა ნივთითო, („ნ. ლ.“).

გენ. ლინევიჩი. გენ. კუროპატკინის ნაცვლად გენ. ლინევიჩი დაუნიშნავთ მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდლად. ახალმა მთავარ-სარდალმა 1900 წელს ჩინეთში გალაშქრების დროს მოიხვეჭა სახელი და მას აქეთ ნიჭიერ გენერლად ითვლება, ისე როგორც გენ. კუროპატკინი ითვლებოდა ომამდე. 1900 წელს აქეთ გენ. ლინევიჩი უსურიის ოლქის ჯარის უფროსად იყო და ომის გამოცხადების უმალ დროებით მანჯურიის ჯარის მთავარ-სადლად დაინიშნა. როცა გენ. კუროპატკინი ლიაოიანში ჩავიდა, გენ. ლინევიჩი ისევ უსურიის ოლქში დაბრუნდა, შემდეგ წარსულ ოქტომბერში მანჯურიის პირველ არმიის უფროსად დაინიშნა. მუკდენის ბრძოლა რუსის მარცხენა ფრთაზე დაიწყო, იქ, სადაც გენ. ლინევიჩის არმია იდგა. აქ გამოჩნდა, რომ იაპონელებსა და ჩინელებს შუა დიდი ზღვარი ყოფილა. გენ. კუროკი 8 თებერვალს დაეცა გენ. ლინევიჩს, დაამარცხა, დალინის უღელტეხილი წაართვა, მდ. ხუნხესაკენ დაახევინა და რუსის ცენტრს მოსწყვიტა. სამხედრო მიმომხილველები სწერდნენ მაშინვე, გენ. ლინევიჩის არმიის დამარცხებამ გადასწყვიტა შახეს პოზიციების ბედი და რუსის ჯარს მაშინვე უკან უნდა დაეხიაო. 22 თებერვალს გენ. კუროკიმ მაძიანდანი აიღო, გენ. ლინევიჩის ცენტრი გაარღვია, იმისი არმია შუაზე გასწყვიტა, მდ. ხუნხეს გაღმა დაახევინა, ფუშუნის ჩრდილოეთით ერთს რაზმს წრე შემოავლო და დაატყვევა და დღე'დღე სდევნის მთელს არმიას.

ეგაა აქამდე გენ. ლინევიჩი მხოლოდ პირველ არმიის სარდალი იყო და არა მთელის ჯარის მთავარ-სარდალი. მომავალი გამოაჩენს, როგორ წაიყვანს საქმეს ახალი მთავარ-სარდალი, თუ, რასაკვირველია, შერიგება არ მოხდა. თუმცა ეხლავე შევიძლიან იმის გამოცნობა, რომ რუსის არმია დიდხანს ვერ შესძლებს სამხედრო მოქმედებას. გენ. ლინევიჩი მოხუცებული კაცია და ძლიერ უყვარს ჯარს. სალდათები „მამა“-ს ეძახიანო, ერთხმად იუწყებიან კორესპონდენტები. („ნ. ლ.“).

გენ. კუროპატკინი. რუსის საზოგადოებასა და პრესას დიდი იმედი ჰქონდა მუკდენთან გამარჯვებისა, რადგან რუსის მთავარ-სარდალს იაპონელებზე მეტი ჯარი და არტილერია ჰყავდა; ბევრი თითქმის წინადვე დღესასწაულობდა გამარჯვებას. ბოლოს როცა საქმე ცუდად წავიდა, იმედი ჰქონდათ, რომ გენ. კუროპატკინი თავის ჩვეულებრივ სიფრთხილეს გამოიჩენს, რუსის არმიას უვნებლად გადაარჩენს და უკან დაიხევსო. მაგრამ მუკდენის ბრძოლამ ეს იმედიც გააცრუვა. რუსის მთავარ-სარდალმა თავისი განთქმული უკან დახევის უნარიც ვერ გამოიჩინა და დროზე ვერ გაუსხლტა მარშალ ოიამას ხელიდან. ეხლა დამარცხების ბრალს თითქმის ყველანი ერთ ხმად მარტო გენ. კუროპატკინს აბვევენ [illegible], ისე როგორც გენ. კუროპატკინმა ლიაოიანის ბრძოლის წაგება მარტო გენ. [illegible] [illegible]თავეია თავზე.

„ბირჟევია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტად ნამყოფი ცნობილი დემჩინსკი ამტკიცებს „რუს“-ში, მუკდენთან დამარცხება მხოლოდ გენ. კუროპატკინის ბრალიაო.

ერთს ცნობილ რუსის გენერალს პეტერბურგში უთქვამს „ეკო-დე-პარი“-ს კორესპონდენტისათვის: გენ. კუროპატკინმა მეტად საოცარი დაუდევნელობა და უთაურობა გამოიჩინა. იმოდენა არმია ჰყავდა, ამდენ ხანს არა გაარიგა-რა და იაპონელებს ნება მისცა, გვერდიდან შემოევლოთ რუსის არმიისათვის. რით აიხსნება ასეთი განსაცვიფრებელი და ღრმად სამწუხარო უთაურობა?“ („ნ.“).

„რუს“-ის რედაქცია ესარჩლება გენ. კუროპატკინს. გაზეთის წერს: „ეხლა ურიცხვი ხალხი ერთხმად დაიძახებს: მუკდენთან დამარცხება სულ უვარგის მთავარ-სარდლის ბრალიაო. მაგრამ ჯერ ერთი რომ სწორეა ეს აზრი? მერე კიდევ, გვყავს სხვა უკეთესი მთავარ-სარდალი, სამხედრო გენიოსიო? გაზეთი ჰფიქრობს, გენ. კუროპიტკინი როგორც სამხედრო მინისტრი უფრო ტყუის, ვიდრე როგორც მთავარ-სარდალიო.

გენ. კუროპატკინის მუდმივ მოწინააღმდეგეს, გენ. დრაგომიროვსაც ასეთივე აზრი გამოუთქვამს რუსის მთავარ-სარდლად ნამყოფზე.

„ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება, გენ. დრაგომიროვმა შემდეგი აზრი გამოსთქვა გენ. კუროპატკინზეო: ეხლა (მუკდენის აღების წინ) გენ. კუროპატკინის გამოცვლაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ვენდოთ ეხლანდელ მთავარ-სარდალს, მაგრამ ომის გათავების უმალ ანგარიში უნდა მოვსთხოვოთ სამხედრო მინისტრად ნამყოფს, რადგან ყველა დამარცხების ბრალი სამხედრო მინისტრს ედება. არმია ცუდად იყო მოწყობილი, თანამედროვე ზარბაზნები არა ჰქონდა, ცუდად იყო ნასწავლი და გაწრთვნილი. ამიტომაც ყველაფრის პასუხი სამხედრო მინისტრად ნამყოფს უნდა მოვსთხოვოთ. გენ. დრაგომიროვს ბოლოს უთქვამს, მე თითონ ვერ წავალ ომის ასპარეზზე, რადგან ავადა და სუსტადა ვარო. მართლაც გენ. დრაგომიროვი ხელით გამოჰყავდათ ეტლიდანაო. („კ. გ.“).

ორიოდე სიტყვა ქართველ თავად-აზნაურობას.

სამწუხარო ამბავი გვესმის: ქართველი თავად-აზნაურობა აღშფოთებულია და ისეთ გზას ადგება, რომელიც არც იმისთვის, არც

ქვეყნისთვის სასარგებლო არ იქნება. აღშფოთების მიზეზი აქვს, მაგრამ სულის სიმშვიდე და გონიერება არ უნდა დაჰკარგოს; პირიქით, ქვეყნის მდგომარეობა ავალებს, წინდახედულად მოიქცეს და წუთიერ გულის თქმას არ აჰყვეს.

გვესმის, ვითომ ზოგი ქართლელი თავადი და აზნაური მოსულა ტფილისში იმ განზრახვით, რომ მთავრობას რეპრესიულ ღონისძიებათა მიღება სთხოვოს. მეტად სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ ასეთი დიდათ მავნებელი და თანაც სამარცხვინო განზრახვა დაჰბადებიათ. ნუ-თუ ქართლელ თავად-აზნაურობაში არ მოიპოვება ისეთი ელემენტი, რომელსაც შეეძლოს დაუმტკიცოს აჩქარებულ მოძმეთ, რომ რეპრესიით შორს ვერ წავლენ და საქმეთა მდგომარეობას უფრო გაამწვავებენ?! რაც ქართლში ხდება დღეს, რაიმე განსაკუთრებული მოვლენა ხომ არ არის? იგივე ხდება ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხეში და მთელს რუსეთშიაც. ეს საერთო მოძრაობა გამოწვეულია ღრმა ეკონომიურისა და პოლიტიკურის მიზეზებით. დრომ მოიტანა და საშინელი კრიზისი გამომჟღავნდა; იარა გაიხსნა; მთელი ხალხი დრტვინავს და რეფორმებს თხოულობს. დრომ მოიტანა და ხალხს გვერდს ამოუდგა ყველა პატიოსანი და შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა, თავად-აზნაურობისა, ინტელიგენცია. რუსეთის ერობა, რუსეთის თავად-აზნაურობის საუკეთესო ნაწილი ხალხთან ერთად გაიძახის, ასე ცხოვრება არ შეიძლებაო. აბა დაასახელე„ რომელმა თავად-აზნაურობის შეკრებულებმა მოსთხოვა მთავრობას რეპრესიების გაძლიერება? პირიქით, ყველა ამბობს, ბიუროკრატია გაკოტრდა და სრულიად დაჰკარგა ნდობაო; მას აღარ შეუძლია მშვიდობიანობა დაამყაროს და ხალხის წყლულს მალამო დასდოსო; ყოველი იმისი ჩარევა ქვეყნის აწეწილ-დაწეწილ საქმეებში კიდევ უფრო ამწვავებს უკიდურეს მდგომარეობასაო.

აი რას ამბობს მოწინავე საზოგადოება და მასთან რუსეთის თავად-აზნაურობის უმეტესი ნაწილი. ქართლელებს-კი ჯერ კრინტი არ დაუძრავთ საჭირბოროტო საკითხებზე და როგორც-კი მოჰკრეს ყური, გლეხობაში მოძრაობა დაიწყოო, მაშინვე მთავრობისაკენ გამოქანდნენ. გარდა იმისა, რომ ასეთს საქციელს ვერავინ ვერ მოუწონებს, საქმესაც ვერაფერს უშველიან: ღრმა ჭრილობის მორჩენა იარაღითა და მათრახით არ შეიძლება... განა ქართლის თავად-აზნაურობამ არ იცის, რომ გლეხთა ცხოვრება აუტანელია და [illegible] მათი მოთხოვნა კანონიერი? მაშ როგორ გაუფიქრებია, რომ იარაღით შეიძლება ხალხის დამშვიდება?! გუშინ ბიუროკრატიამ განიზრახა გურიის გლეხობის წინააღმდეგ რეპრესიული ღონისძიებათა მიღება; მაშინვე მთელი ჩვენი საზოგადოება აღელდა, ქუთაისიდან თავ.-აზნაურთა წინამძღოლიც ჩამოიჭრა ტფილისში; მივიდნენ ყველანი და სთხოვეს, ჯარი შეაჩერეთო; დღეს ჩვენის თავად-აზნაურობის მეორე ნაწილი სხვა გზას ადგება,—არა, ჯარი გაგზავნეთო. ვიმეორებთ, ამით საქმე არ გაკეთდება და გვწამს კიდეც, რომ ქართლელ თავად-აზნაურობის უმრავლესობაც გამჭრიახობას გამოიჩენს და ზოგიერთთა მავნე ღალადს არ აჰყვება, რადგან ძალით, ძალმომრეობით ვერც ბიუროკრატია, ვერც თავად-აზნაურობა საქმეს ველარ გამოაკეთებენ...

შესაძლებელია ხალხის მოძრაობის ფორმა ანორმალურ კალაპოტში ჩადგეს, შესაძლებელია გლეხობამ მეტისმეტი მოთხოვნა წამოაყენოს, მაგრამ თავად-აზნაურობა მოვალეა უფრო შეგნებულად მოიქცეს: რაც შესაძლებელია, ის დაუთმოს, და ამასთანავე უთუოდ გვერდში ამოუდგეს იმათ, ვინც დარწმუნებულია, რომ ქვეყნის დამშვიდება მხოლოდ ძირითად რეფორმის მოხდენით შეიძლება. როცა ხალხი და მთავრობა ორი მტრული ბანაკი არ იქნება, როცა დღევანდელი ბიუროკრატიული რეჟიმი დაიმხობა, მაშინ შემუშავდება უფრო ნორმალური modus vivendi და გლეხების მოძრაობაც, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს, მშვიდობიან და ნორმალურს კალაპოტში ჩადგება.

ხოლო დღეს დღეობით რა გაკეთდება, რა ღონე უნდა იღონოს თავად-აზნაურობამ, ამას დარბაისლური და სერიოზული განსჯა-განხილვა სჭირია და არა აჩქარებული, მოუფიქრებელი საშუალებანი. თავად-აზნაურობას ხომ მაინც აქვს შეკრებისა და თავისუფლად თავის საქმეებზე მოლაპარაკების ნება? იმათ კრებას ბიუროკრატია მათრახით ვერ გაჰფანტავს და სხვებსავით ტყე-მინდორში ფარულ ყრილობის მოხდენა ხომ არ ეჭირვება?!.

განი.

ერთობის ნიადაგი

კავკასიის ერების მომავალ ცხოვრების ბედ-იღბალი მთლად იმ გარემოებაზეა დამყარებული, თუ რამდენად მოახერხებთ ქართველები, სომხები და თათრები ერთმანეთთან დაახლოვებას და საერთო კეთილდღეობის მოსაპოვებლად შემუშავებულის გეგმის აღსრულებას. ისეთს ისტორიულ ხანაში, რომელიც ამ ჟამად დამყარდა მთელს რუსეთში, უბრალო თანაგრძობა ერთის ერისა მეორისადმი, მათ შორის კეთილგანწყობილება არა კმარა. აუცილებელი საჭიროებაა მეგობრობის, კავშირის ფარგალი გაფართოვდეს და აქტიური ხასიათი მიიღოს. ბაქოში ბოროტების მოსამსახურეთა მიერ გამოწვეულ უწესოებისა გამო ერთი ერისადმი მეორის მიმართ თანაგრძნობისა და კეთილგანწყობილების გამოცხადება იქნება სხვა დროს ისეთს დიადს მოვლენად გვეცნო, რომელიც სრულიად დააკმაყოფილებდა ჩვენს მისწრაფებას კავკასიის ერთა შორის სოლიდარობისადმი, მაგრამ დღევანდელს პირობებში ეს მოვლენა ჩვენ მხოლოდ უბრალო სენტიმენტალისმად გვეჩვენება. თუ ერთობა ამ წერტილზე შეჩერდა და უფრო ღრმად არ გამოიხატა აქტიურ მოქმედების სარბიელზე უეჭველია, კავკასიის მომავალ ცხოვრების მოწყობის საქმეში ერთა სოლიდარობა თა- [illegible] და ისტორიულ მომენტის მოთხოვნილებას ვერ აღასრულებს.

როდესაც სახელმწიფოებრივის და საზოგადოებრივის ცხოვრების ფორმები ძირიანად იცვლებიან, ყველას ნათლად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ მომავალი დამყარებულია იმ რეალურ ძალთა განწყობილებაზე, რომლებიც ბრძოლის ასპარეზზე გამოდიან. რუსეთის ბიუროკრატია დღიდან თავის მმართველობის დამყარებისა კავკასიაში მუდამ ერთგულად და წინდახედულის პოლიტიკით სცდილობდა კავკასიის მიწა-წყალი იმ გვარად გაენაწილებინა სხვა და სხვა ერთა შორის, რომ არსად დიდი და თვალსაჩინო ნაწილი ტერიტორიისა ერთის ერის წარმომადგენელთა საკუთრება არ ყოფილიყო. პოლიტიკა და ეკონომია ისე მჭიდროდ, ისე განუყრელად არსად არ უერთდება ერთი მეორეს, როგორც მიწათმფლობელობის საქმეში. საკუთარი მიწა ადამიანს თითქმის ბუნებითად აბამს ადგილზე და ისეთს სულიერ განწყობილებას ჰქმნის იმის გულში, რომელიც არავითარის წინააღმდეგობის წინაშე არ იხრის ქედს და არავითარის ინტერესისთვის არ დასთმობს უკვე მოპოვებულს ეკონომიურს სამშობლოს. სამშობლო თავის თავად პოლიტიკური ცნებაა, მაგრამ იმის საფუძველს ეკონომიური მიწათმფლობელობა შეადგენს. იმ ადგილებში, სადაც რუსეთის ბიუროკრატია ჰხედავდა, რომ მკვიდრთა შორის რაიმე ზნე-ჩვეულებითი, ეტნოგრაფიული განსხვავება არსებობს, იქ იმდენად სხვა, უცხო ტომის ხალხის დასახლებას არ სცდილობდა, რამდენადაც უკვე დასახლებულ მკვიდრთა შორის ვიწრო, სამაზრო პატრიოტობის აღორძინებას და ამ გზით ერის მთლიანობის მოსპობას, სამშობლოს დანაწილებას და წართმევას. ამ მხრივ დიდად საყურადღებოა ლიხის მთის გადაღმა ქართველობის ისტორია გასულის საუკუნისა. მთავრობა წრეს გადაცილებულის ენერგიით სცდილობდა იმერეთი საქართველოდან გამოერიცხა და თვით იმერეთი პატარ-პატარა მაზრის ერებად ექცია... მაგრამ, ალბად ისტორია უფრო ძლიერი ყოფილა ვიდრე ადმინისტრაციის მეცადინეობა, საქართველოს მთლიანობა, რაც ხანი გადის უფრო და უფრო მტკიცდება და ძლიერდება.

თუ ადმინისტრაციამ ჯერ-ჯერობით თავის მიზანს ვერ მიაღწია და სხვა-და-სხვა ტომები იმდენად ვერ არია ერთმანეთში, რომ ყოველს მათგანს დაჰკარგოდა ეროვნული ელფერი, ამოჰვარდნოდა გულიდან სამშობლოს სიყვარული და დამორჩილებოდა იმ ტალღას, რომელიც გარუსებისკენ გვეზიდება, ეჭვს გარეშეა, ჩვენის სოლიდარობის და კავშირის საწინააღმდეგოდ რამდენიმე თვალსაჩინო პრობლემა მაინც დააყენა.

როგორ უნდა მოეწყოს მომავალი ზრდა და განვითარება თითოეულის ერისა ნაციონალურს ნიადაგზე, როგორ უნდა მოწესრიგდეს კავკასიის ზოგიერთს ადგილებში არსებული არევა ერთმანეთში სხვა-და-სხვა ერის წარმომადგენლებისა?—აი ეს საკითხი იბადება აუცილებლად ყოვლის კავკასიელის წინაშე, რომელიც-კი გარუსებას არ აპირობს და მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს ეროვნული ხასიათი შეინარჩუნოს კავკასიის ყველა ტომის ხალხს. იმ დრომდე, ვიდრე ეს საკითხი ერთნაირად არ იქნება გადაწყვეტილი კავკასიის სხვა-და-სხვა ერთაგან, სოლიდარობა სენტიმენტალიზმის ჩარჩოს ვერ გასცილდება და სულ უბრალო, უცაბედი შემთხვევა იქნება საკმარისი, რომ უნდობ- [illegible] მაგალითებისთვის შორს წასვლა არ გვინდა; ეს კი იყო ტფილისის ყველა პერიოდულ გამოცემა სომხებისა და ქართველების დაახლოვებას, სოლიდარობას დღესასწაულობდა, მაგრამ გუშინ გაზეთმა „ივერიამ“ უნდობლობის თვალით შეჰხედა სომხებს იმის გამო, რომ ქალაქის ხმოსნებისაგან ერთის კომისიისთვის დაფარულის კენჭის ყრით არჩეული წევრები ყველანი სომხები აღმოჩნდნენ. გაზეთი „ივერია“ ჩვენზე ნაკლებ არა ნატრობს კავკასიის ერების დაახლოვებას, ჩვენზე ნაკლების სიხარულით არ ეგებება სოლიდარობის სიმპტომებს, მაგრამ მაინც-კი გუშინდელს წერილში უნდობლობა გამოიჩინა. ჩვენის ფიქრით, არც ქალაქის ხმოსნები არიან წინააღმდეგნი ერთობისა, ჩვენ გვჯერა, რომ ისინიც გულწრფელად ნატრობენ ერთა კავშირს, მაგრამ არჩევნების დროს მიკერძება და ცალმხრივობა გამოიჩინეს. ამ კერძო შემთხვევას თავის თავად დიდს მნიშვნელობას ვერ მივაწერთ, ჩვენს თვალში, ეს წვრილმანი ამბავია, მაგრამ ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ აღვნიშნოთ, რას შეუძლია მკვიდრი საფუძველი ჩაუყაროს კავკასიის ერთა სოლიდარობას.

საჭიროება უკვე საკმაოდ მომწიფდა. ბაქოს ამბებმა მოამზადეს ხალხი კავშირის დასადებად და კავკასიის ყველა ერის მოწინავე ნაწილი ე. ი. ინტელიგენცია მოვალეა შეიმუშავოს გეგმა ნაციონალურის ურთიერთობისა, ნათლად და გარკვევით განსაზღვროს საშუალებანი ამ გეგმის ასასრულებლად და შეერთებულის ენერგიით შეუდგეს კავკასიის საერთო ინტერესების დაკმაყოფილებას.

გ. რ.

ახალი ამბავი

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქართლში **გლეხთა დიდი მოძრაობაა.** აი, სხვათა შორის, რას სწერენ „ნ. ობ“-ს: გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილმა, მინდობილებით, შემოიარა მეჯვრის-ხევისა და ცხინვალის სასოფლო საზოგადოებანი, სადაც უფრო ძლიერი მოძრაობაა გლეხებისა, მიმართული მემამულეთა წინააღმდეგ. ამ მოძრაობამ მწვავე ხასიათი მიიღო. გლეხებმა რამდენიმე ყრილობა მოახდინეს და ბოიკოტი გამოუცხადეს მემამულეებს. ყველა მოსამსახურემ თავი მიანება მემამულეთა სახლს და სამუშაოს. ბევრი სოფლის მეურნე, უმუშა-ხელოდ დარჩენილი, იძულებული გახდა მუშაობა შეეჩერებინა. თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი ელაპარაკა გლეხებს, ბევრი არიგა, მაგრამ ყველაფერმა უნაყოფოდ ჩაიარა. გლეხთა მოძრაობა გორის მაზრის ყველა სოფელს მოედო. 2 მარტს სად. გომში დიდ-ძალმა გლეხობამ მოიყარა თავი. მოვიდნენ შემდეგ სოფლებიდან: სათივესა, ვაყასა, მოხისსა, ალსა, კოდასა, ქვენატკოცსა და სხვა სოფლებიდან. ამ ყრილობამ დაადგინა, გლეხობამ მოსპოს ყოველივე კავშირი მემამულეებთან. შედეგად ამას ის მოჰყვა, რომ მოსამსახურეებმა და მოახლეებმა თავი მიანებეს მემამულეებს. ყოველივე მუშაობა ერთბაშად შეჩერდა მემამულეთა ადგილებში. მემამულეებს თავის მხრივ აზრად აქვთ იშუამდგომლონ, რომ ან ჯარი გაეგზავნოთ დასაფარავად ან ნება მიეცეთ თავიანთ შორის შეადგინონ დასაცველი რაზმები. სადგურ გომის მახლობლად გაბრიელ მამაცაშვილის მამულია, რომელიც დიდი ხანია თათრებს აქვთ იჯარით აღებული. ამას წინად გლეხთა მუქარის გამო, ადგილობრივი მუშები წავიდნენ ამ ადგილებიდან. თათრებსაც წინადადება მისცეს წასულიყვნენ საიჯარო ადგილებიდან, მაგრამ მათ უარი განაცხადეს. მემამულემ მამაცაშვილმა რუისიდან ამ თათრებს თავისი გუთანი ჩაუტანა და თათრები, რიცხვით 40 კაცი, შეუდგნენ ხვნა-თესვას. თათრებმა თავიანთი ცოლ-შვილი სხვაგან გაჰგზავნეს.

◆ ქართლში სოფლებ ძალისის, დამპალოს და ქსოვრისის **გლეხობას დაუწყია** სახელმწიფო ტყის ჩეხა, რის გამოც, მაზრის უფროსის განკარგულებით, ამ სოფლებში გაგზავნილ იქმნენ საერობო დარაჯები.

◆ 28 თებერვალს **სენაკის მაზრაში დაიწვა** თავის ქაღალდებით უშაპატის სასოფლო კანცელარია.

◆ როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ, **ის ჯარი**, რომელიც ბათუმიდან რიონამდის და სამტრედიიდან ფოთამდის იყო სადგურებსა და ლიანდაგზე დაყენებული რკინის გზის სადარაჯოდ, დაბრუნებულ იქმნა თავის ბინაზე.

◆ ბაქოს ქალაქის მოურავი, ბ-ნი ირეცკი, შეეკითხა ტფ. ქალაქის მოურავს, რა გზას ადგება ტფილისი 18 თებერვლის **უმაღლეს რესკრიპტში** აღძრულ საკითხის საქმეშიო. თვით ბ-ნი ირეცკი იმ აზრისაა, რომ კავკასიის ქალაქებმა უნდა აღძრან შუამდგომლობანი და, რათა ჩვენს ქვეყანას არ ასცდეს მოსალოდნელი რეფორმა, მოითხოვონ შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის კომისიაში მონაწილეობაო. რესკრიპტი ნებას აძლევს სხვა-და-სხვა დაწესებულებათ და კერძო პირთ თავიანთი აზრი გამოსთქვან სახელმწიფო წესწყობილების გაუმჯობესების შესახებ. საჭიროაო,—ამბობს ბ-ნი ირეცკი,—ჩვენმა ქალაქის გამგეობებმაც მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში და მოითხოვონ აგრეთვე, რომ კავკასიის ქალაქების წარმომადგენელნიც მიიწვიონ ბულიგინის კომისიაშიო. ამაზე ბ-ნ ვერმიშევმა უპასუხა, ტფ. საბჭოს ხმოსნებს უკვე ჰქონდათ კერძო სხდომა, რომელმაც საჭიროდ დაინახა დეპუტაციის არჩევა და პეტერბურგში გაზავნა აღნიშნულ შუამდგომლობის ასაღძრავადაო; კავკასიის ყველა საქალაქო გამგეობებმა უნდა მიიღონ ყოველი ღონისძიება, რომ მოსალოდნელი რეფორმის განხილვაში ჩვენის ქვეყნის ქალაქთა წარმომადგენლებმაც მიიღონ მონაწილეობაო; ტფილისის საბჭოს ამაზე სჯა-ბაასი 7 მარტს ექნებაო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 4 თებერვალს განიხილა **განცხადება ქალაქის მუშებისა**. ამ განცხადებაში მუშების ზედამხედველი სწერს, სამსახურის საქმეების გამო დესიმონოვის მოედანზე მივდიოდი; ქალაქის მუშებს მელიქოვს, სეროფ და ოჰანეზ სარქისოვებს და სხვათ დესიმონოვის მოედნის დასუფთავება გაეცაავებიათ და ბაბაევის ტრაქტირში ჩაის დასალევად შესულიყვნენ. საიდანღაც გაჩნდა უფროსი პოლიციელი და სხვა პოლიციელთან ერთად ტრაქტირში მისცვივდნენ მუშებს და დაუწყეს თავპირში ცემა. ორმა მუშამ გაასწრო, ხოლო დანარჩენთ შეუბრალებლად სცემესო. გამგეობამ დაადგინა, ეცნობოს ეს ამბავი პოლიცმეისტერს და ეთხოვოს, რომ პასუხის გებაში მისცეს თავხედი პოლიციელები.

◆ **ერევნიდან „კავკ.“-ს დეპეშით ატყობინებენ:** „დღეს, 4 მარტს, ასე დილის ათ საათზე, ერთი სომეხი გამოვარდა ეზოდან და იქვე მდგომ მაჰმადიანს ორჯელ ესროლა ბერდანის თოფი. სხვა ადგილას მაჰმადიანებმა რევოლვერები ესროლეს სომხის მღვდელს. მესამე ადგილას ერთი სომეხი ეტლით დარბოდა და ჰაერში რევოლვერს ისროდა, არსად უბედურება არ მომხდარა. დუქნები ხელად დაიკეტა. ხალხი დუქნებში შეიკრიბა. ნახევარ საათში წესიერება აღდგენილ იქნა და დუქნებიც გაიღო“.

◆ როგორც გავიგეთ, კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტმა დაადგინა დაარსოს კავკასიის **სართავ-სალებავ და საქსოვი სახელოსნო სასწავლებელი.** სასწავლებელს სამი განყოფილება ექნება: პირველი ქსოვისა და ქარგვა-ხატვისა, მეორე ჩეჩვა-რთვისა, ხოლო მესამე ღებვისა. პირველს განყოფილებაში სწავლის კურსი გაგრძელდება 2 წელი, ხოლო დანარჩენ განყოფილებებში თითო წელს. ამ სასწავლებელში მიიღებიან სამინისტროს 2 კლასიან სკოლებში სწავლა-დასრულებულნი. სასწავლებელში უპირატესად მიიღებიან შინა მრეწველობის რაიონების მცხოვრებთა შვილები, ქალები არა ნაკლებ 14 წლისა, ვაჟები არა უხნეს 21 წლისა. სასწავლებელთან ქალებისთვის პან-

---

ფელეტონი

პატარა ამბები

ჩვენი დრო—შესანიშნავი ხანაა!—გურიის ამბები.—მოსწავლეთა გაფიცვა.

ვსწერ... მაგრამ შეიძლება მალე დადგეს ისეთი დღე, როდესაც აღარ იქნება წერის დრო. ცხოვრება მირბის წინ, ტიტანისებურმა ძალამ აამოძრავა ყველაფერი და რაც დღეს მიგვაჩნია სასურველად, ის ხვალ აღარ გვაკმაყოფილებს, რაც დღეს გადამეტებულია, ის ხვალ ცოტაა, რაც დღეს ოცნებაა, ის ხვალ სინამდვილეა.

დგება ჩამქვრალი გაზაფხული, განახლება. საერთო გამოფხიზლებამ და გაადამიანებამ გაიტაცა ყველანი, ღარიბებმა და მხდალებმაც-კი აწიეს თავი ზევით, წელში გაიმართნენ და გუშინ რომ ერთის ფეხის დაბაკუნებისაგან სტოლის ქვეშ მიძვრებოდნენ დასამალავად, დღეს გაბედულად და რადიკალურად ლაპარაკობენ. ძლივს ორი თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც ტფილისის საზოგადოება შეიკრიბა ერთად და აჩქარებულად, მკრთალად გამოსთქვა თავისი მოკლე მოქალაქობრივი მოთხოვნილებანი. მაშინ ეს დიდი გმირობა იყო, დღეს-კი ასეთის გაბედულობისათვის ყურადღებასაც არავინ მოაქცევთ. დრონი იცვლებიან! მაგრამ არასოდეს არ იცვლებოდნენ დრონი ისე, როგორც იცვლებიან დღეს.

მე ვერ წარმომიდგენია ამაზე უფრო დიდებული სურათი, როგორც არის ადამიანის განახლება და გამოცოცხლება! შეუდარებელი რამაა, როდესაც მონას აღარ უნდა მონობა, ამსხვრევს ბორკილს, ებრძვის ძალმომრეობას და უსამართლობას და აცხადებს: ან სიკვდილი, ან თავისუფლება და თანასწორობაო! როდესაც თავისუფალი სიტყვა გესმის იქ, სადაც სამარის სიჩუმე იყო გამეფებული! როდესაც ცოცხალ ადამიანებს ხედავთ, სადაც მკვდრები და ჩონჩხები ეყარა მხოლოდ! როდესაც თავის-თავის ღირსების და პიროვნების შეგნება ებადება ადამიანს! როდესაც ადამიანი ისე ღრმად აფასებს თავის ადამიანობას, რომ მზად არის ყველაფერი შესწიროს მისთვის! როდესაც ხედავ მჩაგვრელების და სისხლის მწოველების არეულდარეულობას, თავზარდაცემას და უიმედობას, ხედავ მათ სასოწარკვეთილებას, ხედავ, როგორ იკრუნჩხებიან და ჭკანკალებენ ტარტაროზები და ეშმაკები ძლევამოსილის სამართლის წინაშე, ხედავ ბოროტებაზე ყოველ მხრიდან შემოსეულს ძალას! ვერავითარი განხორციელებული ოცნება, ვერავითარი ბედნიერება, თანასწორობა, თავისუფლება ვერ შეედრება ამ გამოფხიზლებას, ამ ბრძოლას ბედნიერებისათვის! უფრო დიდებულია ბრძოლა თავისუფლებისათვის, ვიდრე თვითონ თავისუფლება! უფრო მეტი ბედნიერებაა თანასწორობის ძებნაში, ვიდრე თვითონ თანასწორობაში!..

შესანიშნავ დროში ვცხოვრობთ და ნუ იქნება ჩვენთვის მძიმე ჩვენი დროის მოთხოვნილება. ბედმა გვარგუნა (თანამედროვეთ) ისტორიული მოვალეობა და ნუ ვიქნებით ამ მოვალეობის წინაშე პატარა კაცუნები. დიდი საქმე მოგვიწოდებს სამუშაოდ და ნუ გამოვიჩენთ უსაქმურობას. დღემდის ჩვენ ვკითხულობდით გმირულს საქმეებს, აღტაცებაში მოვდიოდით შესანიშნავ ადამიანების თავგანწირულობით და მოღვაწეობით; როგორც ზღვის პირას, ისე დავჯდებოდით ისტორიის ნაპირას და სულგანაბულნი ვუგდებდით ყურს წარსულის ბრძოლას და გმირობას; გაგვიტაცებდა ტკბილი ოცნება და ვეალერსებოდით ჩვენს საყვარელს ადამიანებს, დავისახავდით მათ წინ და მათი ცხოვრება და მოღვაწეობა გვახალისებდა, გვამხნევებდა, გვაძლევდა ძალას, მათ თავგანწირულებასა, უანგარობასა და მოქმედებაში ვხედავდით იდეალს, ვიგონებდით დიდებულ მკვდრების სახელს ცხოვრების გასახალისებლად. ისტორია იყო ჩვენთვის წარსული, შორებული. დღეს ისტორია ჩვენს წინ დგას, ჩვენ შევდივართ ისტორიაში, ისტორიის წევრები ვართ, უნდა ვიმოქმედოთ ისტორიაში, უნდა „შევქმნათ“ ისტორია! ჩვენ ვსწავლობდით სხვის ისტორიას, დღეს ჩვენ უნდა მივსცეთ ჩვენი ისტორია მომავალ თაობათ, რომელიც უნდა იყოს მათთვის საამოდ მოსაგონებელი!..

ბევრი ინატრებდა ისეთ დროს, როგორშიაც ვცხოვრობთ ჩვენ. კაცობრიობის ცხოვრებაში ხშირი არ არის ამნაირი გარდამავალი ხანა, როდესაც თავდება ერთი ისტორია და იწყება მეორე, ახალი, და ვაი იმას, ვინც ვერ შეიგნებს ამას, ვინც გადუდგება დროს და ცხოვრებას, რომელსაც ძილში გამოეპარება ხალხის ამოძრავება და რომელიც ვერ მიიღებს მონაწილეობას ქვეყნის განახლებაში. კაცობრიობა რამდენსამე საუკუნეს ემზადება დიადი ცვლილების შემოსაღებად და განა ეპატიება ვისმე, რომ ჰოესწროს ცვლილების განხორციელების დროს და არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს ამ ცვლილების განხორციელებაში? სიმონმა იხილა იესო და უბედნიერესი ადამიანი იყო, ჩვენ კი არ უნდა ვიგრძნოთ ეს ბედნიერება? იესოს მოსვლა არ იყო თანასწორობისთვის ბრძოლა? და რა არის ჩვენი დრო, თუ არა მიახლოვება თანასწორობისა და თავისუფლებისაკენ?!

განვიმსჭვალოთ ამ რწმენით, ამ მაღალის დანიშნულებით და გარკვეულის ძალით მივეგებოთ ისტორიას: ასეთი ხანა მეორე არ იქნება ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენი უპირველესი მოვალეობაა სავსებით შევიგნოთ ჩვენი დრო, მით უმეტეს, რომ ახლა ძნელი შესაგნებელიც არაა ეს, რადგან ბავშებიც-კი იწუნებენ დღევანდელს წესწყობილებას.

* *

დადგა შესანიშნავი ისტორიული ხანა და პოლიციას უნდა მისი უკან დაბრუნება და გაქარწყლება. ასე გათამამდა და გაბატონდა ჩვენებური პოლიცია, რომ ყოვლის შემძლებელად მიაჩნია თავისი თავი. კარგია რომ არ დასცალდა, თორემ იმდენ თავხედობასაც კი გამოიჩენდა, რომ საიქიოსაც დაუწყებდა პატრონობას, რის ნიშნებს დღესაც ვხედავთ: მაგალითად დღეს ქალაქ ადგილებში მკვდრებს პოლიციელნი მოუძღვებიან წინ, თითქოს ამით იმის თქმა სურდეთ, უჩვენოთ კარებს არ გაგიღებენო. ასეა. როდესაც ადამიანი დარწმუნდება, რომ სიკეთის წყაროა, სადაც კი რამე სიკეთეს დაინახავს, ჩემის წყალობითაო, გაიძახის. პოლიციელები ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ დედა-მიწაზე ყოველივე ბედნიერება მათგან წარმოდინდება, და რა გასაკვირველია, რომ საიქიოს ბედნიერება მათ წყალობად ჩავვითვალოთ! ასეთი მსჯელობა სრულიად არაა ულოღიკო. თუ კარგია მარტო ის, რაც პოლიციისაგან ნებადართული და მოწონებულია, თუ წესიერება და სამართალი პოლიციის ხელშია, თუ აზრი, სიტყვა, სინდისი, სარწმუნოება, მწერლობა, სიყვარული და სიძულვილი პოლიციის ძალმომრეობას ემორჩილება, თუ სიმართლე და თავისუფლებაც კი პოლიციისაგან მოგვენიჭება ხოლმე, რატომ არ შეიძლება, რომ საიქიოს ნეტარებაც პოლიციელებისაგან მოგვეცეს. ვინ იცის, ეგებ პოლიცია სახარების სიტყვებს ასრულებს—ნეტარ არიან მშიერნი, ტვირთმძიმენი, ჩაგრულნი და წამებულნიო,—და ამიტომაც სდევნის და ავიწროვებს ხალხს, რომ ამით მოუპოვოს მას საიქიოს ბედნიერება.

ერთ-ერთ წარსულ ფელეტონში ვსწერდი, რომ მთელი სიცოცხლე მოუნდება ჩვენებური პოლიციის თავგასულობის აწერასამეთქი. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი გურიის პოლიციის მოღვაწეობიდან. არსად არ ყოფილა ისე თავგასული პოლიცია, როგორც იყო ამ ბოლო დროს ოზურგეთის მაზრაში. ყველაფერი მოსპო გურიაში პოლიციამ გარდა თავის თავისა, რომელსაც აძლიერებდა იმდენად, რამდენად სპობდა სხვას. მოსპო სასამართლო, კანონი, სკოლა, ბიბლიოთეკა, აზრი; ყველგან გაბატონა მხოლოდ ძალმომრეობა, უსამართლობა და მათრახი. ხმის ა[illegible]ნის განცხადება და თავის ტკ[illegible]

სიონი იქნება. როგორც გამოანგარიშებულია, სასწავლებელს დასჭირდება სულ 15,934 მანეთი. კომიტეტს უნდა შუამდგომლობა აღძრას, რომ 5000 მანეთი ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდან გადაიდოს.

◆ 2 მარტს, როდესაც დილით სამსახურში მიდიოდა რკინის გზის მთავარ საწყობის უფროსი კორბოზი, ვიღაცამ ოთხჯერ **რევოლვერი ესროლა**, მაგრამ ოთხჯერვე ააცდინა.

◆ დ. ხაშურიდან გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში იქ ტყვიით **სასიკვდილოდ დაუჭრიათ** ადგილობრივ რკინის გზის გამგეობის მოხელე ივანე სადკოვსკი. მკვლელი ვერ შეუპყრიათ.

◆ ამას წინად ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან მოსკოვში გაუგზავნიათ **ამგა, ფულით სავსე.** როდესაც მოსკოვში ამგა გახსნეს, ცარიელი პაკეტები-კი აღმოჩნდა. შეიპყრეს ფოსტალიონი. ამგაში 36 ათას მანეთზე მეტი ყოფილა.

◆ 25 მარტს **ავლაბრის მცხოვრებთა დეპუტაცია** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან იყო. დეპუტაციამ ავლაბრელთა მიერ ხელმოწერილი თხოვნა გადასცა და პირადადაც მოელაპარაკა, რომ ა. გ. კარაგეზოვის კერძო სასწავლებელი-პანსიონი გადაკეთებულ იქნას 1872 წლის დებულების ოთხ-კლასიან სამოქალაქო სასწავლებლად. მზრუნველი დახმარებას დაჰპირდა.

◆ **ბორჩალოს მაზრის უფროსი** პოლკოვნიკი კონსტანტინე შანშიევი ინიშნება ტფილისის საგუბერნიო საგლეხო საკრებულოს წევრად.

◆ როგორც ფოთიდან გვატყობინებენ, ფოთის რკინის გზის არტელი გუშინ **სამუშაოდ გამოსულა.**

◆ 3 მარტს, როდესაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის დეპოს უფროსი შპიგანოვიჩი თავის კაბინეტში მუშაობდა, მასთან შევიდა ლომით ხელში ზეინკალი კორნეევი. კორნეევს **უნდოდა დაერტყა ლომი** შპიგანოვიჩისათვის, მაგრამ შპიგანოვიჩის თანაშემწემ, რომელიც იქვე შეესწრო, ხელი სტაცა კორნეევს. დამნაშავე პოლიციას გადასცეს.

◆ როგორც გავიგეთ, მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი **ქუთაისის დასით** ექვს მარტიდან აპირებს მოგზაურობას სხვა-და-სხვა ქალაქებში. 7—8 მარტს ფოთში დასდგამს ორს წარმოდგენას, 9 მარტს—ყვირილაში, 10—11—გორში, ხოლო 13—15 მარტს—ტფილისში. ტფილისში პირველად წარმოადგენენ „კაი-გრაკხს“, მეორედ „როზა ბერნდს“. ტფილისიდან დასი განჯას გაემგზავრება.

◆ როგორც მეჯვრისხევიდან გვატყობინებენ, ვიღაც უცნობ კაცებს ამ დღეებში **გადაუწვავთ ადგილობრივ საპოლიციო-საერობო** დარაჯთა თივის ძირები.

◆ სურამის **ბოქაული ტანერბერგი**, რომელიც ამას წინად დასჭრეს, დაინიშნა მცხეთის ბოქაულად.

◆ უსინათლოთა სკოლის სამზრუნველოს თავმჯდომარისათვის ქ-ნ ა. ი. ჰავლიაშვილს უთხოვნია, ნება მომეცით სკოლაში ქართველ ბრმებს ქართული ენა ვასწავლოო. თავმჯდომარე დასთანხმებულა. ნება-რთვის შემდეგ ჰავლიაშვილს შეუსწავლია უსინათლოთა სწავლების საქმე და მისი მეთოდი და გადუღია კიდეც ქაღალდზე რამდენიმე ლექსი აკაკისა და რამდენიმე საუკეთესო მოთხრობა საუმაწვილო ჟურნალებსა და წიგნაკებიდან და ამ ჟამად ასწავლის ქართველ ბრმებს. საქმის მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლად ქ-ნ ჰავლიაშვილს შეუდგენია პატარა წრე ქალთა და ვაჟთა. ამ წრის წევრებსაც შეუსწავლიათ უსინათლოთა სწავლების მეთოდი და მორიგეობით ასწავლიან სკოლაში. ეს წრე ამ მოკლე ხანში ქართველ უსინათლოთათვის გამოსცემს ქართულ გაზეთს, ე. ი. ქართულ ჟურნალ-გაზეთებიდან გადაბეჭდავს ხოლმე საყურადღებო ამბებს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 4 მარტს განიხილა ტფილისელ მეეტლეთა საერთო განცხადება. როგორც აღვნიშნეთ, მეეტლეებმა ითხოვეს დარჩენილ ფულების გარდახდის ვადის გადადება, ცხენის გადასახადად 3 მან. დაწესება, სადღელად ერთის წლის განმავლობაში ნიხრის გაუქმება და სხვ. გამგეობამ დაადგინა, ამ წლის გადასახადის უკანასკნელ ვადად დაინიშნოს 15 აპრილი; შესახებ ნიხრის გაუქმებისა დაევალოს გამგეობის წევრს თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილს შეადგინოს მოხსენება, თუ როგორ შეიძლება ამ საკითხის განხორციელება, ხოლო რაც შეეხება დარჩენილ გადასახადების პატივებას ან ჯერ არ გადახდას, მიენდოს იმ კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს დასაფასებელ გადასახადების დარჩენილ ფულის პატივების საქმეების განხილვა, თავისი მოსაზრება წარუდგინოს გამგეობას

◆ სად. დარკვეთი. 3 მარტს სადგურზე საწყობის კედელი გამოანგრიეს და წაიღეს 21 ფუთი და 20 გირვანქა ფართლეული.

◆ სად. ბათუმი. 2 მარტს, ღამის 9 საათზე, მე-76 ვერსზე, ტყვიით დასჭრეს ფერდში რკინის გზის დარაჯი პახილოვს ი.

◆ სოფ. ჩომნის (გორის მაზრა) გლეხებს ა. და ი. გაბაშვილებს და პ. და ს. ცხოვრებაშვილებს ამ დღეებში შეტაკება მოსვლიათ საპოლიციო საერობო დარაჯებთან. ჩხუბის დროს გლეხებს ძლიერ უცემიათ დარაჯ ლიტვინსკისთვის. გამოძიება სწარმოებს.

—

დღევანდელ №-თან ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება.** № 236.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. 4 მარტს საღამოთი მოხდა ქუთაისის ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. საბჭომ, მცირე კამათის შემდეგ, დაადგინა აარჩიოს კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მოხსენება ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ და საშუალებანი სახელმწიფო წეს-წყობილების განკარგების შესახებ. საბჭომ დაადგინა შემდეგ, აღძრას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქუთაისის გუბერნიის ქალაქების წარმომადგენელთ ნება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ იმ საბჭოს მუშაობაში, რომელიც განიხილავს ქალაქებისა და ერობების შესახებ კანონებს. აღძრას აგრეთვე შუამდგომლობა, რომ ქუთაისის გუბერნიის და, საზოგადოდ, განაპირა ადგილების მცხოვრებთა წარმომადგენელთ ნება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ იმ თათბირში, რომელიც მოხდება შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის თავმჯდომარეობით და რომელმაც უნდა შეიმუშაოს პირობები ხალხის წარმომადგენელთა მოწვევისა. სთხოვოს ქუთაისის გუბერნატორს განკარგულება მოახდინოს, რომ დაუყოვნებლივ დაინიშნოს ქალაქის წარმომადგენელთა მონაწილეობით გამოძიება 14 თებერვალს ქუთაისის ქუჩებში მომხდარ ამბების გამოსაკვლევად, თანახმად იმ პირობისა, რომელიც გუბერნატორმა საბჭოს მისცა. დასასრულ, საბჭომ დაადგინა, შეუერთდეს მოსკოვის ქალაქის საბჭოს სამოცდა ხუთ ხმოსნის 1904 წელს, 30 ნოემბერს მომხდარ დადგენილებას.

4 მარტს აქაურ სათავად-აზნაურო გიმნაზიის ინიციატორობით სომეხთა ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი ბაქოში 6—9 დაღუპულთა სულის მოსახსენებლად. დაესწრო დიდძალი ხალხი.

(შემთხვევითი)

მუკდენი *). გიგზავნით ათას მანეთს (1000 მ.), მუკდენში შეკრებილს მგოსნის აკაკი წერეთლის ფონდის გასაძლიერებლად. შემომწირველნი: ქიშვარდი ნიკოლაიშვილი, ლევარსი ლ[illegible]ნტი, აბგარ ლაზარიანცი, მიხეილ მაღლაკელიძე, მელიტონ მალანია, ვიქტორ ხაინდრავა, ივანე იორაშვილი, დიმიტრი ცეცხლაძე, ვარდენ ჩხაიძე, ირაკლი პაპავა, ერმოლოზ სიხარულიძე—თითომ ოცდა ხუთ-ხუთი მანეთი; კონსტანტინე კოპლატაძე, ილია პატეიშვილი და ბეჟან ბერეჟიანი—თითომ 30 მანეთი; ანდრია გაბისონია, ვლადიმერ ქუთათელაძე, პავლე გველესიანი—თითომ თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი; ნიკოლოოზ წულუკიძე, ნესტორ წულუკიძე, ივანე ხაინდრავა, კონსტანტინე მატყავა, ვლადიმერ თავართქილაძე—თითომ ას-ასი მანეთი; დანარჩენი ოთხმოცდა ათი მანეთი შესწირეს ჩინელებმა: იან-იუმ, ჯან-პო-ლინმა, დიუ-ჯე-ლინმა და სი-ვან-პომ.

ვლად. თავართქილაძე.

გურიის ამბები

—

დაბა ხიდისთავიდან ქვეითად გავუდექით სოფ. ჯვარცმას, რომელიც წარმოადგენს ჯვარცმის საზოგადოების შუა-გულს. ხიდისთაველი მასპინძლები მოგვყვნენ ჯვარცმამდის და შინაურულად, გულ-ახდილად გვესაუბრებოდნენ გზაში. საზოგადოდ გურულები კარგად მიეწყვნენ კრიმ-გირეის და სისწორით დააფასეს იმისი უბრალო მარტივი ქცევა. ჯვარცმამდის სამი ვერსი გვქონდა გასავლელი ოღრო-ჩოღრო ადგილები და ერთ საათს მოვუნდით. შორიდან დავინახეთ ჯვარცმის კანცელარიასთან თავ-მოყრილი ხალხი სულ ათასამდე კაცი, ქალი და ბავშვი იქნებოდა. ავედით „კანცელარიის“ ბალკონზე. კრიმ-გირეიმ მიმართა სალამით ხალხს და სთხოვა დეპუტატები აერჩიათ სალაპარაკოდ. გამოვიდა 16 კაცი. როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც ის მოთხოვნილება გამოაცხადეს გურულებმა, რაც სხვა ადგილებში.

ხიდისთაველ დეპუტატის თქმისა არ იყოს, ყველა გურულს სამი უპირველესი მოთხოვნილება აქვს—მიწა, პური და თავისუფლება. აქაც დამშეული, უმიწაწყლოდ მეტად შევიწროებული ხალხია, აქაც მძლავრად და თავხედურად გაჰქონდა ლაწა-ლუწი თავისუფლების შემბღალავ პოლიციის მათრახს. როცა მცხოვრებნი პოლიციის თვითნებობაზე ლაპარაკობენ, სახე ენთებათ, თვალები ნაპერწკლებს ჰყრიან, თქვენ თვალ-წინ წარმოგიდგებათ ის საზიზღარი ადამიანის ღირსების მჩაგრავი ძალა, რომელიც არაფერს საშუალებას არ ზოგავდა მათრახის ბატონობის გასავრცელებლად. აქაც მემამულეების ადგილებში გლეხთა გაფიცვის დროს, გლეხების წინააღმდეგ ამხედრდა ადმინისტრაცია. ჩამოვიდა მაზრის უფროსი და მეხათ დაეცა თავს გლეხების მიერ მასთან მოსალაპარაკებლად არჩეულ დეპუტატებს.

გამოვიდა კრიმ-გირეისთან ამბის სათხრობად ერთი კაცი, რომელმაც თავის ზურგზე გამოსცადა პოლიციის ცხარე არგუმენტები. შეგვკრიბა პოლიციამო,—სთქვა ამ ხანში შესულმა კაცმა,—ავირჩიეთ 15 დეპუტატი და როცა წარვუდგით, თავს დაგვეცა, „ბევრი სიტყვით გაგვლანძღა, ბევრი ხელით გაგვლანძღა მაზრის უფროსმა; შემდეგ ჩოხატაურში დაგვიბარა და იქ რომ გამოვცხადდით, საპოლიციო დარაჯებს უბძანა, გაამათრახეთ ეს ხალხიო. ჩოხატაურის მთელი ბაზარი უყურებდა ჩვენ აწიოკებას. ბოქაულის ცოლმა ვერ მოითმინა და გამოგვესარჩლა, ჩადგა ჩვენსა და მაზრის უფროსს შუა. მაგრამ ვერაფერი გააწყო, ვერ დაგვიფარა ამ ღვთისნიერმა მანდილოსანმა. მემამულეებმა დააპირეს შეემცირებიათ ადგილების საყანული, მაგრამ მაზრის უფროსი წინააღუდგა მემამულეებს, მოელაპარაკა და ჩააგონა, რომ არ დასთანხმებულიყვნენ, „უნდა მოკაკვოთ გლეხები, არაფერი არ უნდა დაუთმოთ, თორემ მერე უფრო გათამამდებიან და თავზე დაგვაჯდებიანო“. ეს რომ სთქვა ხალხის არჩეულმა დეპუტატმა, უთხრა კრიმ-გირეის: ერთი ამ მემამულეთაგანი ეხლა აქ კრებაზეა და შეგიძლიანთ ჰკითხოთ, მართალს მოგახსენებთ თუ არაო. კრიმ-გირეიმ მიმართა მემამულეს, რომელმაც დაამოწმა დეპუტატის ნათქვამი.

კრება გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა დეპუტატების ლაპარაკს. ქალებიც მრავლად იყვნენ კრებაზე და ცხადად ეტყობოდათ, რომ, ხალხთან ერთად, ერთის გრძნობით უცემდათ გული. ადგილის სივიწროვეზე რომ დაიწყეს ლაპარაკი დეპუტატებმა, აქაც თავი იჩინა გურიის საერთო ჭირ-ვარამმა. ორი ქცევა ადგილი აქვს საშუალო რიცხვით ჯვარცმელ მოსახლეს და იძულებული იყო მემამულეების ადგილებში ემუშავნათ. რასაკვირველია, გამწარებულ მდგომარეობაში ჩავარდა გლეხობა. მოურავები, ხალხის დაუძინებელი მტრები, ეს მუქთა მჭამელა შუამავლები, ყველაზე უფრო აწუხებდნენ და სტანჯავდნენ ხალხს. იჯარა ცალკე იყო და მოურავის გადასახადი ქრთამიც ცალკე. საზოგადოდ, აქ 15—25 ფუთი სიმინდი მოდის ქცევაზე, და იჯარა—მოსავლის ნახევარია. თუ გლეხი მოურავს ქრთამს არ მისცემდა, იგი დროზე არ მიდიოდა ყანაში შეგროვილ მოსავლის გასაყოფად. სიმინდი დიდ-ხანს ეყარა ყანაში, სჭამდა პირუტყვი და ლპებოდა. ამისთანა გაჭირვებულმა მდგომარეობამ გამოიწვია გლეხთა გაფიცვა, რომლის დროსაც არა მარტო მაზრის უფროსი, გუბერნატორიც მრისხანედ თავს დაესხა გლეხებს, ჩამოიარა სოფლები, სადაც ყაზახების ეკზეკუცია იყო ჩაყენებული, მუშტებს უღერებდა დაემუქრებოდა ხალხს—როგორ თუ გაბედეთ და მემამულეებს ეწინააღმდეგებით, ჯარს დაგასევთ და ძირიან-ფესვიანად ამოგვფხვრითო.

შემდეგ მღვდლებზე გადავიდნენ დეპუტატები და საზოგადოდ, როგორც ყველგან, მწარედ ჰკიცხავდნენ ანგარებას და ურცხვ ქცევას, სარწმუნოებით ვაჭრობას. მაგალითები მოიყვანეს, როცა მღვდლები სთხოვდნენ საქორწინო ქალ-ვაჟთ წინ-დაწინ გადაჭრილ ფასს და სანამ არ მისცემდნენ, ჯვარს არ სწერდნენ. მეზობლები ფულს უგროვებდნენ ღარიბ ქალ-ვაჟს და მადა-აშლილ მღვდლებს აძლევდნენ ამ საცოდაობით ამონაწურ ფულს. მოგვაშორეთ მღვდლები თავიდან, თხოულობდა ხალხი, არ გვინდა ისინი არც სკოლებში ხალხის განათლებაში, არც საღვთო სჯულის სწავლებაში. ვისაც სურს და ენდომა თავის ხარჯით შეინახოს მღვდლები: მასწავლებლობა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვინც ხალხის ნდობითაა მოსილი. ჩვენ დღეს ქრისტიანი მღვდლები არა გვყავან—დაასრულეს სიტყვა დეპუტატებმა,—მათ გარყვნეს ხალხი და სარწმუნოება.

შემდეგ დეპუტატებმა მ[illegible] აღვილგასეგებად და საბუთიანად მოითხოვეს არა პირდაპირ გადასახადები, [illegible] კრების, სიტყვის, აზრის, გაფიცვის თავისუფლება, პიროვნების და ბინის ხელ-შეუხებლობა; მოითხოვეს ხალხის არჩეულ პირთაგან დამფუძნებელი კრების მოწვევა; ხალხის ამორჩეული კაცები უნდა ჰმართავდნენ ქვეყანას და ჰნიშნავდენ მოხელეებსაო (მემამულეები და ხაზინა დიდ ღალას იღებენ და სოფლად ჩვენმა ამორჩეულებმა უნდა დააწესონ ადგილ-მამულის, ტყეებისა და საძოვარ ადგილების ბაჟი); მოითხოვეს მუდმივ ჯარის გაუქმება, რადგან ხალხი არავის არაფერს ერჩის და არ უნდა მუდმივი ჯარიო. თუ ვინმე თავს დაგვესხა, მაშინ ჩვენ თვით შეგვიძლიან გავსცეთ პასუხიო. ყველა წოდება უნდა სწორი იყოს კანონის წინაშე, სწავლა-განათლება უნდა იყოს სავალდებულო, საყოველთაო და უფასო. ქართულ ენაზე უნდა ასწავლონ ყველა საგნები საშუალო დაბალ და სკოლაში ქართული ენა როგორც საგანი უნდა ასწავლონ უნივერსიტეტში. თუ კაცს თავისი სამშობლო ენა არ უყვარს, და არა აქვს, სხვებსაც ვერ შეიყვარებსო. რუსეთში 146 სხვა-და-სხვა ერი ცხოვრობსო, უთხრა ამაზე დეპუტატს კრიმ-გირეიმ, და ყველამ რომ თავისი ენა მოითხოვოს სასწავლებლებში?—ყველა დაკმაყოფილებული უნდა იქმნასო, უპასუხეს გურულებმა. რუსული ენა მხოლოდ სავალდებულო საგნად უნდა შემოღებულ იქმნას სასწავლებლებშიო. შემდეგ დეპუტატებმა მოითხოვეს შემოსავალზე გადასახადის დაწესება იმ წესით, რომ ვისაც 500 მან. ნაკლები შემოსავალი აქვს, არაფერი გარდახდეს. მოითხოვეს პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლება და დაბრუნება, ჯარის წაყვანა ნატანებიდან, რადგან ხალხი შეშოთავს, მუშაობას გული ვერ დაუდვა ამ ჯარის მოლოდინშიო.

კრებამ კერძო საჩივრით მიმართა კრიმ-გირეის, თავ. ვარლამ ერისთავს უჩიოდა, სამის საზოგადოების სახელით (ამაღლება, ნანეიშვილი და ჯვარცმა): პირობით შეკვრა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს საინტენდანტოს პროვიანტის მიტანის შესახებ, არ შეასრულა პირობა და სამ საზოგადოებებს 18 ათასი მანეთი გადაახდევინეს. ჩვენთვის არაფერი უთქვამს თავ. ერისთავს, მამასახლისებთან დაიწყო საქმე და შემდეგ კი ჩვენ გავტყავდით, ვალში ჩავვარდით და დღემდისაც გვახდევინებენო. კრებამ გამოაცხადა აგრეთვე, რომ მთავრობის მი[illegible] ყენებულმა მამასახლისმა საზოგადოებ[illegible] ლი გაფლანგა, ანგარიში არ წარმო[illegible] და გაიპარა. საკვები თანხა (ПРОДОВОЛСТ. КАП.), რომელსაც უკვე 9 წელია, რასაც აგროვებს სოფელი, ვინ იცის ვის ხელშია; შარშან, დიდ შიმშილობის დროს, სოფელმა მოითხოვა ეს თავისი ფული და არაფერი პასუხი არ მიიღო. სოფელმა გამოაცხადა აგრეთვე, უნდა გაგვანთავისუფლოთ მღვდლების სასარგებლოდ გადასახადისაგან (დრამა). როცა ზოგიერთმა მღვდელმა თვითონ განაცხადა სურვილი არ აეღოთ გლეხებისაგან დრამა, მაზრის უფროსმა ძალა დაატანა და გადაახდევინა. უკანასკნელ პირუტყვს ჰყავს მფარველი,—სთქვეს დეპუტატებმა,—ჩვენ კი არავინ გვყავს, ამიტომ ჩვენ თვითონ მოვაწყობთ ჩვენ საქმეს. სანამ ჩვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნება, არ დავცხრებითო.

კრება რომ დასრულდა, ხალხმა აჩვენა კრიმ-გირეის ეკრედ წოდებული, ხელ-ფეხიანი მუხა, რომელზედაც ძველ დროში მებატონეები დასჯილ ყმების ხელ-ფეხს ჩამოაკიდვინებდნენ ხოლმე.

ი. ნაკაშიძე

---

*) ეს დეპეშა ამ რამდენისამე დღის წინად მოგვივიდა და არ დავბეჭდეთ, რადგან მაშინ ფული არ იყო მოსული.

დესაც უკანასკნელი წლებზე ფეხს იდგამდნენ, დღე და ღამ მწარე ოფლს ღვრიდნენ, სხვებისაგან განადგურებულნი იყვნენ და შიმშილით კვდებოდნენ. რამდენჯერ არ მოითხოვეს გლეხებმა კანონი, მაგრამ მათრახის და ცემა-დატუსაღების მეტი არაფერი აღირსეს. დღეს ერთხმად გაიძახიან გურული გლეხები, რომ ჩვენთვის მოისპო მთავრობა, სასამართლო, კანონი და მხოლოდ ერთი-და ძალმომრეობა და პოლიციელების და კაზაკების მათრახი დარჩაო; ჩვენ არ ვხედავდით მთავრობას, ვხედავდით მარტო მათრახს და თუ მათრახია მთავრობა, პატივს ვერა ვსცემთ ასეთ მთავრობასო. პოლიციამ შექმნა ხალხისათვის ათასნაირი ისეთი გადასახადი, რომელსაც არ იხსენიებს დღევანდელი უვარგისი კანონიც: გლეხები იყვნენ მთავრობის მოხელეების და მემამულეების დარაჯები, გზის მკეთებელნი, ტვირთის მზიდველნი, პოლიციელების მხლებელნი, სადილის გამკეთებელნი, ცხენების დამქირავებელნი; გლეხები ემსახურებოდნენ არა თუ მარტო პოლიციელებს, არამედ მათ ოჯახებს და ნათესავებსაც. ყოველის მხრით სჩაგრავდა უმიწა-წყლო გლეხს მემამულე და გლეხს არ შეეძლო ხმა ამოეღო მის წინააღმდეგ, პოლიცია მაშინვე ატუსაღებდა და ციმბირში ჰგზავნიდა. გლეხს არ შეეძლო საჩივარი შეეტანა სასამართლოში, რადგან მოსამართლეობაც პოლიციამ იკისრა. გლეხებმა ითხოვეს სახელმწიფო ადგილების შმართველობისაგან მიწების შეღავათიანის პირობებით მოცემა და პოლიციამ გაამათრახა ყველა, ვინც ხელი მოაწერა ამ თხოვნას, და გადასახლება გაუშორა იმ კერძო ვექილს, რომელმაც დასწერა თხოვნა. სცემდნენ და ჯვარ-მეღლებს აგლეჯდნენ გლეხს იმიტომ, რომ თავმდაბლად ხმას იღებდა თავის გაჭირვებულის მდგომარეობას შესახებ. ერთს გლეხს ცხვირ-პირიდან სისხლი ადინეს იმიტომ, რომ გაბედა და გამოედავა თავისის ცოლს ადგილის შესახებ. გლეხების ნაოფლარით დაარსებულ მაღაზიებიდან ერთი ნამცეცი დახმარება არ აღმოუჩინეს გლეხებს, როდესაც ისინი შიმშილით კვდებოდნენ.

პოლიცია სდევნიდა სკოლებს და მასწავლებლებს, კეტავდა ბიბლიოთეკებს, ატუსაღებდა წიგნებს და გაზეთებს და უბრძანებდა ოზურგეთის სცენის მოყვარეებს: არ გაბედოთ და აზრიანი პიესები არ ითამაშოთ. ამით უნდოდა პოლიციას მოესპო აზრი და გონება, შეეჩერებინა მოძრაობა, დაეწყნარებია „ამბოხება“ და აღედგინა „წესიერება“. პოლიციამ მოუნდომა ხალხს უარყოფა, მაგრამ გამოვიდა სულ წინააღმდეგი... ხალხმა უარჰყო პოლიცია და დღევანდელი წესიერება არა ჰგავს იმ პოლიციურ წესიერებას, როდესაც, მაგალითად, გლეხები იძულებულნი იყვნენ პოლიციის ხრიკებისაგან დაეცვათ ეგზეკუციად ჩაყენებული სალდათები. აღარავისათვის აღარ არის უკვე საიდუმლო, რომ პოლიცია ჰქმნის ამბოხებას და სპობს იმ წესიერებას, რომლის დასაცველად იგი არის ვითომ მოწვეული! სულთან-კრიმ გირეის რევიზიაც ნათლად ამტკიცებს ამას, სხვათა შორის. ყოფილა ასეთი მაგალითი, რომ უმაღლეს პოლიციას დაუკმაყოფილებია გლეხების საჩივარი, მაგრამ ადგილობრივ პოლიციას ამ საჩივრისთვის დაუტუსაღებია გლეხები და ნაობახტში ჩაუგდია. უმაღლესი ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ გზის გასაკეთებლად გამოწვეულ უნდა იქნენ ყველანი განურჩევლად წოდებისა, ადგილობრივიკი იწვევდა მხოლოდ გლეხებს, იჩივლებდნენ გლეხები და მათრახი და სატუსაღო დახვდებოდათ წინ...

განა ასეთი წესიერების თავად არ არის ამბოხება და არეულობა? მე ვერ წარმომიდგენია ამაზე მეტი უწესობა. მაშ რის მაქნისია პოლიცია?.. კურსკში თვითონ ცემდა ბავშვებს, ბაქოში გულზე ხელ დაკრეფილი იჯდა, როდესაც ქუჩებში საშინელი სისხლის ღვრა იყო, გურიაში არღვევდა წესიერებას და ხელს უწყობდა არეულობას, ტფილისში ღამე სიარული სახიფათოა, რადგან ძნელია, არ გაებე პოლიციის ეშვების ქსელში, მოსკოვში... მაგრამ მოსკოვში კარგად გაუცნიათ პოლიცია და ქალაქის საბჭოს აზრადა აქვს თურმე, დაიარსოს საკუთარის დარაჯების მილიცია, რასაკვირველია, ყველაზე უწინარეს პოლიციისაგან დასაცველად.

ახირებული ამბავია! ქალაქის მცხოვრებნი საკუთარის ფულით ინახავენ პოლიციას და ხელმეორედ უნდა გამოიღონ კიდევ ხარჯი, რომ შეინახონ პოლიციის საწინააღმდეგო მილიცია! ყოველ შემთხვევაში სრულებით არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ გურიაში პოლიციის განშორდა ხალხი. ასე თუ ხდება სხვაგან, გურულებს მხოლოდ ის დანაშაულობა აქვთ, რომ სხვებს გაუსწრეს.

ზევით ვსთქვი, რომ გურიაში მოსამართლეობაც პოლიციამ იკისრა. ყველამ კარგად იცის, თუ რა არის რუსეთის დამახინჯებული და ჩვენში კიდევ უარესად გადამახინჯებული სასამართლო, რაღა ჩვენებური პოლიცია და რაღა ჩვენებური სასამართლო! მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ერთი თუ მათრახით სდევნის სამართალს, მეორე თავისებურის „კანონით“, ერთი თუ მოურიდებელი და თავხედია, მეორე „ზრდილობიანად“ მოქმედობს. პოლიცია გცემთ და გარედ გამოგაგდებთ, სასამართლო-კი თქვენს სამართლიან საჩივარზე თავაზიანის, თუმცა მაღალის, კილოთი გიპასუხებთ, რომ ასე და ამ სტატიის ძალით არა ხართ მართალიო. პოლიცია პრინციპიალური მომხრეა უსამართლობის, სასამართლო-კი, როგორც მისი სახელწოდებიდან სჩანს, მომხრეა სიმართლის, მაგრამ ღალატობს სამართალს პოლიტიკის, ქრთამის, ნაცნობობის და სხვა მისგან დამოკიდებულ და დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო. პოლიცია ხანდახან პირდაპირ ელაპარაკება ხალხს მის ენაზე, სასამართლოს-კი აკრძალული აქვს ხალხის ენაზე ლაპარაკი და უნდა ილაპარაკოს მოყნეს შემწეობით, რომლის ლექსიკონში ხშირად 100 სიტყვა ძლივს მოიპოვება...

გურულებმა უარჰყვეს ასეთი სასამართლო და დაიარსეს თავისი უბრალო, ხალხური, მაგრამ სამართლიანი სასამართლო.

**

სადაც არ ვარგა სასამართლო, ეს ღედაბოძი კეთილგანწყობილ საზოგადოებისა, იქ დასაგმობი იქნება ბევრი სხვა დაწესებულება, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, ყველა დაწესებულება. საერთო მოძრაობა და გაფიცვა დღევანდელის სკოლის წინააღმდეგ მოედვა ჩვენს ქვეყანასაც. დაიკეტა ბათუმის სასწავლებლები, დაიკეტა ქუთაისის, დაიკეტა ზოგიერთი სასწავლებელი ტფილისში. ჩვენებური სკოლა საკმარისად იყო დახასიათებული გაზეთებში: ჩვენებური სკოლა არ ვარგა საზოგადოდ, არ ვარგა კერძოდაც—არ შეეფერება ჩვენი ერის საჭიროებას და მოთხოვნილებას, არ ვარგა სკოლა იმიტომ, რომ არ ვარგა საზოგადოდ ეხლანდელი წესწ[illegible] რომლის ნაწილია სკოლა. ეს აზრი მ[illegible] გამოსთქვეს, სხვათა შორის, ქუთაისელ[illegible] სწავლეებმა: „ჩვენ არ შეგვიძლიანო დავბ[illegible] სასწავლებელში და განვაგრძოთ სწავლა მანამდის, სანამ ეხლანდელი წესწყობილება არ შეიცვლება, სანამ სასწავლებელი არ გადაკეთდება ისე, რომ აღზარდოს ნამდვილი ადამიანები და არა უსულგულო ტიკინები და მოხელეებიო“.

ტფილისში დღეს დიდი მოძრაობა და აღელვებაა მოსწავლეთა შორის. ზოგიერთი მშობელი გვეუბნება: პრესის საქმეა ჩაერიოს ამ საქმეში და დააწყნაროს მოსწავლე ახალგაზრდობა.

კეთილი, მაგრამ როგორ? ჩვენ ვუთხრათ, რომ დღევანდელი სკოლა კარგია და შეურიგდნენ მას? არა, ამას ვერ ვიტყვით! ეს ღალატი და დანაშაულობა იქნება როგორც პრესის დანიშნულებისა, ისე თვითონ მოზარდ თაობის წინაშე!..

სიტყვა.

რუსეთის ქრონიკა

მოსწავლეთა დაწიოკება. „რუსკია ვედომოსტი“-ს ბევრი წერილები მოსვლია მოსწავლეთა განზრახულ დაწიოკების გამო და რედაქციასაც მიუმართავს მოსკოვის გრადონაჩალნიკისათვის. უკანასკნელს უთქვამს, რომ თუმცა უნიადაგოდ მიმაჩნია ეს ხმები, მაგრამ პოლიციას ინსტრუქცია მიეცა და შესაფერი ღონისძიებაც იქნება მიღებული, რომ მზგავსი რამ არ მოხდესო.

მოსკოვის პედაგოგიურ საზოგადოების უკანასკნელ სხდომაზე ქ. ბ. ფონ-რუტცენს წაუკითხავს მოხსენება კურსკში მომხდარ ამბებზე. მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ მოსწავლეთა მოთხოვნას არავითარი პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონდაო. გარდა პოლიციელებისა მოსწავლეთა ცემა-ტყეპაში მონაწილეობა მიუღიათ ყასპებს, რომელთაც პოლიცია თითო მანეთს დაჰპირებია და მერე ათ-ათი შაური მიუცია. მთელი ეს დაწიოკება წინადვე ჰქონდათ მომზადებული. რადგან ადგილობრივი აფიცრები არ თანაუგრძნობდნენ პოლიციის ასეთ მოქმედებას, ადმინისტრაციამ ხარკოვიდან დაიბარა ჯარი.

გაფიცვა. ორეხოვო-ზუევოდან მოსულ მუშებს უამბნიათ მოსკოვში შემდეგი: გავიფიცენით თუ არა, მაშინვე სადარაჯო რაზმები შევადგინეთ, რომ ფაბრიკის შენობასა და ქონებას არა მოსვლოდა-რა; მიუხედავათ ამისა, ფაბრიკას ფანჯრები ჩაულეწეს. დარაჯებმა დაიჭირეს რამდენიმე ბავშვი, რომელნიც გამოტყდნენ, რომ ნაპძანები ჰქონდათ ასე მოქცეულიყვნენ. ადმინისტრაციის სურვილი იყო განგებ გამოეწვია უწესოება, რომ საქმე დაემზადებინათ მოსულ ჯარებისათვის. მაგრამ სურვილი ვერ აუსრულდათ და ამას მოჰყვა მუშების დელეგატების დაპატიმრება: ვინც-კი ჰყავდათ ამორჩეული მუშებს საქმის პატრონებთან მოსალაპარაკებლად, ყველა სადღაც გაჰქრა. ყოველ ღამე სჩხრეკდნენ მუშათა ბინებს. ყველა ამან ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე, ყველა მოთხოვნას თავი დაანებეს გარდა ერთისა—ჩვენის დელეგატების პიროვნება ხელ-უხლებელი იყოსო.

წერილი რედაქციის მიმართ

I

თქვენ პატივცემულ გაზეთის № 2755-ში ახალ ამბავში მოთავსებული ცნობა მეჯვრისხევის სკოლის შენობის შესახებ ცოტა გაზვიადებულია. 23 და 24 თებერვალს აქაურ გლეხობას ჰქონდა მშვიდობიანი ყრილობა, რომელზედაც, ბოქაულისა და მამასახლისის თანადასწრებით, ითათბირეს აღძრან შუამდგომლობა, რომ ადგილობრივ სკოლისა და ახლად დაარსებულ ქსენონის შენახვა იკისროს მთავრობამ, რადგან უკიდურესი და თავდაუხწეველი მდგომარეობა, სიღარიბისა გამო, ნებას არ აძლევს მათ ამ დაწესებულებათა ხარჯიც სწიონ. სკოლის შენობას გლეხობა არ შემოჰხვევია, მხოლოდ ვიღამაც ქურდულად ღამე ჯოხის დარტყმით ორი ფანჯრის შვიდი შუშა ჩაგვიმტვრია. სხვა-და-სხვა დროს.

აქაური მასწავლებელი. **თ. კანდელაკი**

II

„ცნ. ფურ.“-ს მე-2755 ნომერში მოთავსებულია შემდეგი ახალი ამბავი სოფ. მეჯვრისხევიდან: „24 თებერვალს გლეხები შემოეხვივნენ სკოლას და ჩაამტვრიეს ფანჯრები. ასევე მოიქცნენ სასოფლო ქსენონში. ქსენონში ჩაამტვრიეს აფთიაქის ფანჯრები. შემდეგ გლეხობა ბოქაულსა და მამასახლისთან წავიდა და მოითხოვა გამოსულიყვნენ სალაპარაკოდ“. ეს მართალი არ არის. საქმე ასე მოხდა: 21 თებერვალს ღამე ვიღაც ბოროტ-მოქმედმა მალულად ქუჩიდან ქვა გაისროლა და გატეხა ოთხი შუშა ქსენონისა; 22 თებერვალს ღამე კიდევ სამი შუშა გასტეხეს სკოლისა. დამნაშავენი ვერ აღმოვაჩინეთ. ყრილობა კი მოხდა ჩემის ნება დართვით და მამასახლისის თანადასწრებით მეჯვრისხევში ამ ამბების შემდეგ, ე. ი. 23 თებერვალს. არავის კრებაზედაც არ მისულა ხალხი, არამედ თვითონ იბაასეს იქ, სადაც ჩვეულებრივ მოიყრიან ხოლმე თავს, ე. ი. დუქნებთან. როცა ჩემს ნებადაურთველად მოიყარეს თავი თებერვლის ოცდა ოთხში ყრილობაზედ კიდეც დავესწარი, კიდეც ველაპარაკე ხალხს საათზედ მეტი და წესიერება არავის დაურღვევია; არამც თუ წესიერება არ დაურღვევია, ურიგო სიტყვაც არავის უთქვამს ჩემთვის, თუმცა ბევრი მათგანი ნასვამი იყო. ამის მოწმად მოვიყვან: ცხრაას კაცს გლეხობას, ოცამდის თავად-აზნაურს და სამ „სტრაჟნიკს“ (დარაჯთ). რომლებიც დაესწრნენ ყრილობას.

მეჯვრისხევის ბოქაული **ა. მათურელი.**

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 მარტი

პეტერბურგი. აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მე-3 დივიზიის უფროსს კაშტალინსკის გენერალ-ლეიტენანტობა ებოძა.

ლონდონი. იაპონიის მთავრობა დიდძალ ცხენსა ჰყიდულობს ავსტრალიაში. უკვე პირობაა შეკრული 10 ათას ცხენის ჩაბარებაზე: ეს ცხენები, რამდენადაც კი შეიძლება, საჩქაროთ მიჰყავთ იაპონიაში, კიდევ იყიდიან ცხენებს, რა წამს მეტის გემის დაქირავება გახდება შესაძლებელი.

ბერლინი. პოლკოვნიკი გედკე სწერს: „ეხლა, როდესაც მუკდენის ბრძოლის შედეგი გავიგეთ, უნდა აღვიაროთ, რომ რუსეთის მდგომარეობა მანჯურიაში მეტად მძიმე და საშიშია, მაგრამ მაინც უიმედო არააო“.

ბერლინი. პრუსიის პრინცი ფრიდრიხი ლეოპოლდი კოლომბოდან შორეულ აღმოსავლეთს წავიდა.

ტოკიო, 6 მარტი. მუკდენთან გამოვლილ დიდის განსაცდლის შემდეგ, რუსებმა ტელინში მხოლოდ მცირე უკანა რაზმი დასტოვეს. ოიამამ ქალაქი თითქმის უბრძოლველად აიღო. რუსის უმთავრესმა ჯარმა, ეტყობა, კაიუანისაკენ დაიხია ჰველის შარა გზით, რომ იაპონელებმა არ მოიმწყვდიონ. რუსებმა ვერ მოასწრეს სამხედრო და საკვებ სურსათის წაღება, ამიტომ იაპონელებმა დიდძალი სურსათი ჩაიგდეს ხელში. რუსები, ალბად, შემდეგშიაც ამნაირადვე მოიქცევიან. ამბობენ, კაიუანი გძელ პოზიციის წარმოადგენსო. რუსებს საკმაო ჯარი არა ჰყავთ და თუ საქმე ბრძოლამდე მივიდა, წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ იაპონელებს. ჩანგჩუნში მხოლოდ რუსების უკანა რაზმები თუ შეებრძოლებიან იაპონელებს. იაპონიის არმია შესანიშნავის სიმართლითა და სიფიცხით მიდის წინა. რუსები იძულებულნი იქნებიან ხარბინამდე დაიხიონ, სადაც მაშველ ჯარს ელიან.—ამბობენ რუსებმა იმიტომ მიატოვეს ტელინი, რომ თავიანთ დაჭრილების წაყვანა ჰსურდათ, რადგან დაჭრილები უკან დახევას ძლიერ აფერხებდნენო. ტელინში რუსებმა უმთავრესი და რკინის გზის შენობები დასწვეს.—იაპონელთა რაზმმა, რომელმაც ამას წინად ინპანი აიღო, დაახლოვებით 18 მილი გაიარა წინ გარინის გზით.—მუკდენის საავადმყოფოში იწვა 400 იაპონელი, ხეგაუტასთან ბრძოლაში დაჭრილი.

შანჰაი. აქ მიიღეს წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ გენ. ნოგის არმია ლიაოხეს აღმოსავლეთ ნაპირით მიდიოდა, ასე რომ გენ. ნოგიმ ჩინეთის ნეიტრალიტეტი დაიცვაო.

ლონდონი. აქ მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ რუსის მთავრობა სურსათის მიტანას მანჯურიის არმიისთვის პორტ ნიკოლაევსკით (ამურზეა) აპირობს, რადგან იაპონიის სამხედრო გემებმა ალყა შემოატყეს მანჯურიის არმიას. დღეს ინგლისის ბევრი გემი დაიქარავეს ხსენებულ პორტში გასაგზავნად. ამ გემების დაზღვევის პრემია 50%-მდე ადის.

კანეა. რუსის ესკადრა ორიოდე დღის შემდეგ ჯიბუტში მიდის. დღეს გემი „კოსტრომა“ მოვიდა.

ლონდონი. ლონდონის გაზეთები თანამგრძნობ კომენტარიებს უძღვის გენ. კუროპატკინს: „სტანდარტ“-ი ამბობს, რომ კუროპატკინის გადაყენება ბოლოს მოუღებს რუსეთის მარცხებს. როგორც მომხთარ ამბებიდან სჩანს, კუროპატკინს არ შეეძლო ყოფილიყო სრული ბატონი თავის მოქმედებისა და როგორც მას სურდა, ისე ემოქმედნაო“.—„დეილი ტელეგრაფ“-ი სწერს: „ყოველი ადამიანი, ვისაც კი რაინდის გული უძგერს, უნდა თანაუგრძნობდეს ამ მამაც დამარცხებულ მეომარს. კუროპატკინის დამარცხება იმიტომ იყო ასე დიდი, რომ მას ერთხელაც არ გაუმარჯვნია; მას არასოდეს არ მიშველებიან მისი თანაშემწენი მაშინ, როდესაც იაპონელთა განსაცვიფრებელი გამარჯვება თითქმის სანახევროთ დროზე შველის მიტანით აიხსნებაო“.—„ტაიმსის“ აზრი: „თუმცა კუროპატკინი გენიოსი სარდალი არ იყო, მაგრამ მას შეეძლო მოეხმარა ის მასალა, რომელიც მის განკარგულებაში იყო. იმთავითვე, როგორც ეტყობა, მას არ ქონდა ნება ემოქმედა საკუთარის ინიციატივით. მას სთხოვდნენ, ეცადნა იმის გაკეთება, რაც დიდებულ სარდალს შეუძლიან და არ მისცეს ნება აუჩქარებლად უკან ეხია და მით მტრისთვის ძალა გამოელია; სწორეთ ასეთი ტაქტიკა აჯობინა კუროპატკინმა და კიდეც შეეძლო შეესრულებინა იგი ჩინებულად“.

ტოკიო. ტოკიოს ფინანსისტთა კრებაზე კატცურამ სთქვა, რომ ჩვენი გამარჯვება იმპერატორის დიადი სიქველის ბრალიაო. ძნელია წინდაწინ ითქვას, როდის გათავდება ომი. რუსეთზე სრული გამარჯვება—ეგ დიდი მიზანია, რომლის მისაღწევათ იაპონიის მთელი ნაციის შეერთებაა საჭიროო. კატცურამ იმედი გამოსთქვა, რომ ფინანსისტები დიდსულოვან დახმარებას გაუწევენ მთავრობასო. რასაც იაპონელებმა მიაღწიეს, იმის მიღწევის იმედი სრულებით არა ქონდათ, როცა ომს იწყებდენო.—იმპერატორმა მადლობა შეუთვალა მანჯურიის ჯარებს მუკდენთან მათი უმაგალითო გამარჯვებისა და ნაციონალური სახლის განდიდებისთვის; ოიამამ უპასუხა, რომ გამარჯვება თქვენი საიმპერატორო ტახტის საქმეა და სიტყვას გაძლევთ დანიშნულ მიზანს მივაღწიოო.—ოფიციალურად გამოცხადებულია იაპონიასა და ინდოეთს შორის ხელშეკრულობა.

ბერლინი. იმპერატორი გუშინ სადილად საფრანგეთის ელჩთან იყო. პარიზის პრესა ამ დარბაზობას დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს...

ვენა. დეპუტატთა პალატა. მინისტ-პრეზიდენტს გაუჩს ავსტრიისა და უნგრეთის ურთიერთობაზე შეეკითხნენ. გაუჩმა უპასუხა, მთავრობა მტკიცედ დაიცავს ავსტრიის ინტერესებსაო. ავსტრიის მთავრობას ჰსურს, რომ ორივე სახელმწიფომ ისეთი შეთანხმება ჩამოაგდონ, როგორიც შეეფერება იმპერიის ორსავ ნაწილის საერთო ეკონომიურ არსებობასაო.

ბუდაპეშტი. მინისტრთა საბჭომ გენამიტისას თანადასწრებით უარ-ჰყო უნგრეთის ოპოზიციის სამხედრო მოთხოვნილება.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 მარტი.

ჩანტიფუ, 4 მარტი. მთავარი სარდალი პეტერბურგს მიდის. ჯარების უფროსობა ლინევიჩს ჩაებარა.

ტანანარივა, 4 მარტი. გუშინ, ასე შუადღისას, ნოსსიბოდან წავიდა რუსეთის ესკადრა, საითკენ, არ იციან.

კანეია, 5 მარტი. (რეიტერი) საგოსპიტლო გემი „კოსტრომა“ სუდაში მივიდა, რათა რუსეთის ესკადრას გაჰყვეს უკან.

შანჰაი, 4 მარტი. („მორნ. პოსტ“-ი). ჩინეთის მთავრობამ მანჯურიაში მეფის თანაშემწეთ დანიშნა ჩაოერჩენი. ჩაოერჩენი ესაუბრა იაპონელთ ელჩს პეკინში. იგი მუკდენისაკენ მიეშურება.

პეტერბურგი, 5 მარტი. გენ.-ადიუტანტ კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა 3 მარტის თარიღით: „ჩვენი ჯარების უკანა რაზმებს 2 მარტს ბრძოლა ჰქონდა ტელინიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით გორაზე და აგრეთვე სოფ. პალიცუანთან სამხრეთ-აღმოსავლეთითვე ტელინიდან. ღამით უკანა ჯარებმა პოზიციებზე დაიხიეს იქითკენ, საცა მდინარე ლიაოხე უხვევს და სოფ. კაოლინზაში ისე, რომ მტერი არ შეხვედრიათ. ამა 3 მარტს ჯარები წინ მიდიოდნენ. 2 მარტს ხუნხუზებმა ფაკუმინი დაიჭირეს“. 4 მარტის თარიღით: „თანხმად თქვენი უმაღლესობის ბრძანებისა, რომელიც 2 მარტს გამოიცა და რომელიც მე 4 მარტს მივიღე, იაპონიის წინააღმდეგ ხმელეთზე და ზღვაზე მოქმედ ჯარების სარდლობა გადავეცი ინფანტერიის გენერალ ლინევიჩს“.—გენ. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 4 მარტის თარიღით: „თანახმად თქვენი უდიდებულესობის ბრძანებისა, რომელიც 2 მარტს გამოიცა, იაპონიის წინააღმდეგ ხმელეთზე და ზღვაზე მოქმედ ჯარების სარდლობა ჩავიბარე 4 მარტს“.

სეული, 4 მარტი. კორეიის მთავრობამ 2 მარტს მისცა იტალიის საახალშენო საზოგადოებას მთის მადნების კონცესია 25 წლის ვადით.

პეტეიბურგი. 5 მარტი. ფინანსთა მინისტრის თანაშემწეს ტიმირიაზევს გამოეცხადა უმაღლესი მადლობა იმ გამოჩენილ შრომისთვის, რომელიც მან გაიღო რუსეთ-გერმანიას შორის არსებული ხელშეკრულობის გადასინჯვის დროს. შინაგან საქმეთა მინისტრმა შენიშვნა გამოუცხადა „პრავიტ. ვესტნიკი“-ს მთავარ რედაქტორ კულაკოვსკის, რადგანაც მან დაარღვია დაკანონებული წესი ამა 1905 წ. 18 თებერვალს გამოცემული უმაღლესი მანიფესტის ტექსტის ბეჭდვის დროს. ხმა გავრცელდა, რომ მონასტერისა და საზოგადო სატუსაღოებიდან 900 კაცი განთავისუფლეს, რელიგიოზურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულობისთვის დასჯილნი; „პრავიტ. ვესტნიკი“ აცხადებს, რომ ეს ხმები ტყუილია, სატუსაღოში მხოლოდ 7 კაცი იჯდა ხსენებული დანაშაულობისათვის და ამ დღეებში ყველანი გაანთავისუფლესო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ამხანაგებს: ფედოსია ჩხეიძის, ანნა ოქრობრიძის ელენე ცეცხლაძის ახლად გახსნილი

სამკერვალო

იღებს და ჰკერავს ყოველ გვარ ტანისამოს ქალებისას და ბავშვებისას. (1—84—1)

ვაზის ნერგები

ვ. ლ. მელმანისა

ჰყიდის სამყნელად და გასამრავლებლად

Riraria Gloire de Montpellier Rupestris de Lot

ვაზის რქები და ფესვ-გადგმული ვაზები.

Siparia×Yupestris 3306 | Mourvedre×Rupest.1202
Riparia×Hupestris 3309 | Hybride Franc.
Rolonis×Kiparia 1616 | Alicante×Rup.Terras 20

ადრესი: Ст. „Pionъ, Зак. Ж. Д. Въ имѣнiе Мельмана. ამიერ-კავ. კორესპონდენტისთვის: г. Кутаисъ, по вѣстку перед. на ст. Pionъ, въ контору имѣнiя В. Л. Мельмана, получить И. Л. Гулисову. (11—9)

თხზულება ნ. ნიკოლაძისა

იაპონია

ფასი - 20კ. აქვე იყიდება დიდი სურათი

შოთა რუსთაველისა ფ.-50კ.

ტფილისი. წიგნის მაღაზია „ცოდნა“. (10—5)

ტფილისსა და დილომს შუა სამგზავრო ეტლი მიმოდის ყოველ დღე

დილომიდან ვერაზე: დილის 7 საათზედ ნაშუადღევის 3 საათ.

ვერიდან დილომს: დილის 9 საათზედ საღამოს 5 საათზედ

მგზავრზედ 25 კაპეიკი.

პატარა მოსწავლეთათვის 15 კაპეიკი. (10—2)

სხვაგან წასვლის გამო ვერის საბაზრო მოედანზე

იყიდება ხის მაღაზია

ხის ნახშირის გასასყიდად. იქვეა სასწორი, სტოლი, რკინის ნიჩბები, საზომავი, ფარნები, ლამფა და რამდენიმე ტომარა. ყველა თვალსაჩენ ადგილას არის და ძვირად არ იყიდება. (1—86—1)

პირველი საწყობი შეშისა

ცუდად დაწყობილი

ბ. ი. კურცხალიასი

კარგად დაწყობილ

ანდრეევის ქუჩა [illegible] პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეში

ენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

—18)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

იზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება კალენდრები—ჯიბისა 10 კ. კედლისა 40 კ. ერთბაშად ბევრის მყიდველებს ფას დაკლებით

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОНДНА“.

(წლ.). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ჯიშისა, საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივი. ისყიდება ზომიერ ფასებში, ფ. ი. ავსარქისოვის მამულში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. ადრესი: სადგური სკრა, (ამიერ-კავკას. რკინის გზა). ფ. ი. ავსარქისოვს. (5—70—4)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა, მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—22)

ტფილისის საეპარქიო სიონის ტაძრის გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბავრაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლები, კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 სანეთამდის. სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (1—1)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისრანკუტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.



СѢДЕЛЬН.
СПЕЦIЯЛЬН.
Безъ конкуренцiи
продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ·—176—203)

ოზურგეთის თვითმმართველობის დარბაზში 6 მარტს ვაჭრობით გაიცემა ბახჰაროს მომხმარებელი ამხანაკობის „ჯანმრთელობის“ დუქნები 1905 წ. სეზონისთვის, ვინც ივაჭრებს, უნდა წარმოადგინოს 200 მ. ზალოგი. (4—02070—4)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—9).

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6.—1)

(60—2(

Дов. цен. Тифлисъ, 5 Марть 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ